# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 27 აგვისტო, 2009 წელი.

№ 170 (6270)



> იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

## როდის მოიშორებს მიშა ნიკას?

3

სახელისუფლებო კადრების ფარიფური





## ჭამეთ და ჭამეთ, ნაცებო, ამერიკული „კიტრი“...

8

დემოკრატიის საბაბით...

## აფხაზ ეთნოსს საბოლოო ასიმილაცია ემუქრება!

4





## საიდან გაიტაცეს ოქროს საწმისი?

6

ფაზისის ხეობა – ქართული სახელმწიფოებრიობის სათავე



## 4 წლის შემდეგ 3 საათით ადრე გაათავისუფლეს!

გუშინ ჩვენმა სამართალდამცავებმა არნახული ჰუმანურობა გამოიჩინეს: ჟურნალისტი შალვა რამიშვილი დილის 8 საათზე სასწრაფოდ გამოაცუნცულეს ციხიდან, რომ 11 საათზე მას და მის მხარდამჭერებს იზოლატორის კარებთან მიტინგი არ მოეწყოთ.

ყოჩაღ დიმა შაშკინ!, ყოჩაღ ვანო მერაბიშვილო!, ყოჩაღ მიშა!..

## „ციხეს რად უნდა რკინის კარები“

2

*მურტალოს თქმისა არ იყოს, ციხეს ორი კარი აქვს. ერთი შესასვლელი, მეორე გამოსასვლელი.*



## სამხრეთ ოსეთმა და აფხაზეთმა დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს

9

ინფორმაცია

## საქართველო-ევროკავშირი შეთანხმდნენ

**საქართველო-ევროკავშირი რეადმისიისა და ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ შეთანხმებების ტექსტებზე შეთანხმდნენ.**

**ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.**

— 2009 წლის 24-25 აგვისტოს ქ. ბრიუსელში საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაიმართა მოლაპარაკების მორიგი რაუნდი რეადმისიისა და ვიზების გაცემის გამარტივების შესახებ შეთანხმებების მიღების მიზნით. მხარეთა კონსტრუქციული მუშაობის შედეგად, რეადმისიისა და ვიზების გამარტივებული გაცემის შესახებ შეთანხმებების ტექსტები შეთანხმებულ იქნა. აღსანიშნავია, რომ შეთანხმებებში გათვალისწინებულ იქნა ქართული მხარისათვის პრიორიტეტული საკითხები, — აღნიშნულია განცხადებაში.

აღნიშნული შეთანხმებების ხელმოწერა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე 2009 წლის ბოლომდეა დაგეგმილი.

## ამერიკაში მხარდასაჭერი აქცია გაიმართა

**აშშ-ში საქართველოს მხარდასაჭერი აქცია გაიმართა. საქართველოს მხარდასაჭერად ერთიანობის ჯაჭვი აშშ-ში მცხოვრებმა ქართველებმა და ბალტიისპირეთის ქვეყნების წარმომადგენლებმა შეკრეს.**

აქცია აშშ-ში საქართველოს საელჩოსთან გაიმართა, რომელიც რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ცოცხალი ჯაჭვის მონაწილეებმა დემონსტრაციაზე ქართველებს სოლიდარობა კიდევ ერთხელ გამოუცხადეს.

## შალვა ნათელაშვილი: სანამ სააკაშვილი პრეზიდენტია...

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის გადადგომის შემდეგაა შესაძლებელი. „სანამ სააკაშვილი პრეზიდენტია, საქართველო დაკარგულ ტერიტორიებს ვერ დაიბრუნებს, — განაცხადა ნათელაშვილმა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების წლისთავისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.**

მისი თქმით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება მიხეილ სააკაშვილის პროვოცირებით მოხდა, რის შედეგადაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დანაწევრება დაკანონდა.

— თუ მიხეილ სააკაშვილი შარშან, 8-დან 23 აგვისტომდე თანამდებობიდან გადადგებოდა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება არ მოხდებოდა, — განაცხადა ნათელაშვილმა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის სკამს შესწირა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას.

— ან უნდა ვარჩიოთ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმი, ან ერთიანი საქართველო აფხაზეთითა და ცხინვალის რეგიონით. შუალედი არ არსებობს. ჩვენ ვირჩევთ საქართველოს. კონფლიქტური რეგიონების პრობლემა მოლაპარაკებების გზით უნდა გადაწყდეს, — განაცხადა ნათელაშვილმა.

## ეკონომიკური განვითარების ახალი მინისტრი — ზურაბ პოლოლიკაშვილი



**საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალი, რიგით მე-9 მინისტრი ჰყავს. ამ პოსტზე პრემიერმა ნიკა გილაურმა ესპანეთის სამეფოში ქვეყნის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ზურაბ პოლოლიკაშვილი სამინისტროს თანამშრომლებს ოფიციალურად წარუდგინა.**

პოლოლიკაშვილმა ამ პოსტზე ლაშა ჟვანია შეცვალა. ჟვანია, რომელიც მინისტრობამდე დიპლომატიურ მისიას ეწეოდა და საქართველოს ინტერესებს ისრაელში იცავდა, ამ პოსტზე თავად პრეზიდენტმა შეარჩია და ეკონომიკური უწყება 2008 წლის 10 დეკემბერს დიდი იმედებით ჩააბარა, თუმცა... ცხრა თვეში ჩაფლავდა!

ზურაბ პოლოლიკაშვილი დიპლომატიურ სამსახურში 2006 წლიდან ჩაება. მანამდე მას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა. დიპლომატიური სამსახურის დაწყებამდე კი, „თი-ბი-სი“ ბანკში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. ზურაბ პოლოლოკაშვილი 32 წლისაა.

## საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი — 98, ხოლო დადებითი 22 ქვეყანასთან აქვს!

**სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2009 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს 98, ხოლო დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს 22 ქვეყანასთან. როგორც სტატისტიკის დეპარტამენტში განაცხადეს, იმ ქვეყნებთან რომელთანაც საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს, სავაჭრო დეფიციტი 1855,7 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, ნაცვლად 103 ქვეყნისა და 3009,9 მლნ. აშშ დოლარისა, რაც დაფიქსირდა 2008 წელს. ხოლო დადებითი სავაჭრო ბალანსი 94,3მლნ. აშშ დოლარი, ნაცვლად 19 ქვეყნისა და 140,2 მლნ. აშშ დოლარისა, რაც დაფიქსირდა გასული წლის იანვარ-ივლისში.**

2009 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს მილიონ დოლარზე მეტი დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს 5 ქვეყანასთან: კანადა (57,1 მლნ. აშშ დოლარიძ, სომხეთი (22,7 მლნ. აშშ დოლარიძ, ერაყი (6,1 მლნ. აშშ დოლარიძ, ანგოლა (1,9 მლნ. აშშ დოლარიძ და ეგვიპტე (1,4 მლნ. აშშ დოლარიძ.

## გონს მოეგეთ, აფხაზებო და ოსებო!

**პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე პაატა დავითაია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ აფხაზ და ოს მოსახლეობას მოუწოდებს გონს მოეგონ და საქართველოს მხარესთან დიალოგი დაიწყონ.**

როგორც დავითაიამ რუსეთის მიერ საქართველოს კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების წლისთავთან დაკავშირებით გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე 90-იან წლებში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ დაწყებული ეთნიკური წმენდა დღეს უკვე ამ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები აფხაზებისა და ოსების წინააღმდეგ გრძელდება.

— თუ ისინი დროზე ვერ მოეგებიან გონს, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი უკვე უახლოეს წლებში დარჩება ადგილობრივი აფხაზი და ოსი მოსახლეობის გარეშე, ოკუპირებულ ტერიტორიების ბატონ-პატრონი კი მთლიანად რუსეთის ფედერაცია გახდება, — დასძინა მან.

## მედვედევს ბევრი უტანჯა!

**რუსეთის პრეზიდენტის დიმიტრი მედვედევის შეფასებით, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება „სამართლიანი“ იყო, გადახედვას არ ექვემდებარება.**

ეს იყო ძალიან მკაფიო და **ტანჯვით** მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც რუსეთის ფედერაციამ მიიღო. თუ იმაზე ვისაუბრებთ, რა პირობებში იქნა ეს ნაბიჯი გადადგმული, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ ის სამხრეთ ოსეთზე საქართველოს შეიარაღებული აგრესიისთანავე გადავდგით. როგორ მოვიქცეოდით სხვა ვითარებაში, ამაზე პასუხი ცალსახაა, მაგრამ იმ ვითარებაში, რომელიც აფხაზ და ოს ხალხს შეექმნა, სხვა გადაწყვეტილების მიღება წარმოუდგენელი იყო, — განაცხადა მედვედევმა ულან-ბატორში ვიზიტისას.

მისივე თქმით, ის მიღებულ გადაწყვეტილებას არ ნანობს და მიიჩნევს, რომ ის საერთაშორისო სამართლის კუთხით სამართლიანი, აუცილებელი და ლეგიტიმური იყო.

## ჩრდილოეთ კავკასიაში უსაფრთხოების ღონისძიებები არასაკმარისია

**რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს არასაკმარისად მიაჩნია უსაფრთხოების ღონისძიებები, რომლებიც ექსტრემიზმისა და ტერორისტული საფრთხეების წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ძალოვანი სტრუქტურების მიერ ხორციელდება. ამავე დროს. მისივე თქმით, ჯერჯერობით ვითარება ექსტრაორდინარული გადაწყვეტილებების მიღებას არ საჭიროებს.**

არასაკმარისად მიმაჩნია ის ღონისძიებები, რომლებიც ტარდება. ისინი საკმარისი რომ იყოს, იქ ვითარება მშვიდი იქნებოდა. ვითარება კი მშვიდი არ არის და ბოლო თვეების განმავლობაში გაუარესების ტენდენცია აქვს, — განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა.

— მედვედევის თქმით, ეს ყველაფერი როგორც ბოევიკებისა და იატაკქვეშა დამნაშავების, ასევე სამართალდამცავების მხრიდან დაშვებული შეცდომების შედეგია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

„ინტრიგანის“ ჩანაწერები

# „ციხეს რად უნდა რკინის კარები“



**ამ სათაურით ფაქტობრივად უკვე გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება პენიტენციალური დაწესებულებების მიმართ და რადგანაც ასეთი დამოკიდებულება მაქვს, „ალბათ ამიტომაც არ მეხება ამ სისტემაში რაიმე გადაწყვეტილების მიღება“ (ნოდარ დუმბაძის „თეთრ ბაირაღებში“ ქალბატონი ანიკო ნაკაშიძის მიერ ნათქვამი ფრაზის მცირე ინტერპრეტაციაძ.**

ხოლო მათ მიმართ, ვისაც „ეს ეხება“, ამ წერილით შევეცდები ჩემი შეხედულებების ნაწილობრივ გამოხატვას.

სამშაბათს ბათუმში, პრეზიდენტის სასახლეში, შეწყალების კომისია შეიკრიბა და 256 მსჯავრდებულის საქმე განიხილა.

ახლა ვიღაც „ინტრიგანი“ ირონიით ჩაიცინებს: ბათუმში და თანაც პრეზიდენტის სასახლეში უნდა შეკრებილიყვნენ, აბა გლდანის მე-8 იზოლატორში ხომ არ „დასხდებოდნენო“.

იმ „ინტრიგანის“ გულის გასახეთქად ვიტყვი, რომ ძალიანაც კარგად მოიქცნენ, რომ ბათუმში და პრეზიდენტის სასახლეში დასხდნენ.

ბათუმში მზეა, ზღვაა, ახალი ბულვარია, რესტორნებია. პრეზიდენტის სასახლეში კი კონდიციონერი მუშაობს.

ჰოდა, რა სჯობს ამას?

ის „ინტრიგანი“ ალბათ გაბრაზდება და უკვე ცოტა დაბნეული მეტყვის: ეგრე მზე, ზღვა და რესტორნები გლდანთან ახლოს, თბილისის ზღვაზეც არისო.

კი ბატონო, არის, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ბათუმი ბევრად სჯობს.

სჯობს, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ იქ შეკრებილი კომისიის წევრები, გაცილებით უფრო კარგ ხასიათზე იქნებიან, ვიდრე გლდანში... ამიტომაც სრულიად მოსალოდნელი, იყო რომ ერთი-ორი პატიმრით მეტი შეეწყალებინათ.

სამწუხაროდ, არ გამართლდა ჩემი სურვილები და მიუხედავად კარგი განწყობისა, ქალბატონმა მარიკა ვერულაშვილმა ჯერ კიდევ სხდომის დაწყებამდე განაცხადა, რომ კომისია, სულაც არ აპირებს გადახედოს ე.წ. „სკანდალურ“, ე.წ. „სამშობლოს ღალატის“ მუხლით გასამართლებულ და ოპოზიციის მიერ იმ ცნობილ შეხვედრაზე გადაცემულ სიაში მყოფთა საქმეებს (არადა, ამას რომ ამბობდა, ისე მხიარულად იღიმებოდა, რომ თავიდან ერთი პირობა ვიფიქრე, უკვე 256-ივე ხომ არ გაუშვესმეთქიძ.

ე.ი. ადამიანური ენით რომ ვთქვა, „შეწყალების კომისია“ სულაც არ განიხილავს იმ ხალხის „საქმეებს“, რომლებიც ამ ხელისუფლებას მოსდის თვალში“ და სოზარ სუბარის თქმისა არ იყოს, მხოლოდ „ათი ლარის, ან ორი გოჭის ქურდობაზე გასამართლებულთა შეწყალებაზე იმსჯელებს“.

როდესაც შეწყალებაზეა საუბარი, მსჯავრდებულთა გარკვეული ნაწილი არ წერს განცხადებას შეწყალების შესახებ, რადგანაც თავს დამნაშავედ არ თვლის.

ძირითადად ასეთი მსჯავრდებულები პოლიტპატიმრები მხოლოდ ისინი არიან, რომლებიც ამ ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, მათი სურვილით, ციხეებში უნდა ისხდნენ.

ჰოდა, ამ ე.წ. შეწყალების კომისიასაც ერთი „მაგარი“ არგუმენტი გააჩნია: აბა როგორ შევიწყალოთ, როცა განცხადებას არ წერენო.

ისევ ხელისუფლების მხარეს დავიჭერ და ვიტყვი, რომ ასეც უნდა იყოს.

**აბა გულზე ხელი დაიდეთ და თქვით: ნინო კალანდაძე რა საქმის წამკითხველი და იქიდან რა დასკვნის გამომტანია?**

ბევრი რომ არ გავაგრძელო, იმ ე.წ. შეწყალების კომისიამ, მიუხედავად „დიდი შრომისა და ჯაფისა“, შეწყალებულთა და სასჯელშემცირებულთა ზუსტი ციფრი მაინც ვერ დაასახელა.

ნამდვილად მესმის მათი.

შენ კი შეიწყალე, მაგრამ უცებ რომ აღმოჩნდეს და რომელიმე „ზემდგომს“ არ სურს იმ ადამიანის გარეთ გამოშვება, მერე რას შვები?

ხომ შერცხვი კაცი? არადა ამ დროს ჟურნალისტების წინაშე ზუსტი ციფრი გაქვს ნათქვამი.

ასე რომ, კომისიის თქმით, დაახლოებით ას ადამიანს შეუმსუბუქდა სასჯელი და როგორც ქალბატონმა მარიკა ვერულაშვილმა, თავისი მომხიბვლელი ღიმილით განაცხადა, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ადამიანი მოხვდა შეწყალებულთა სიაშიო (მართლაც რომ სამწუხაროდძ.

ისე რაღა დაგიმალოთ და, გუშინ ერთი პოლიტპატიმრით ნაკლები დარჩა საქართველოში, მაგრამ ეს არც შეწყალების კომისიის და არც რეფორმირებული, აწ უკვე ჰუმანური კანონმდებლობის „ბრალი“ ნამდვილად არ არის.

უბრალოდ, **შალვა რამიშვილს პატიმრობის ვადა გაუვიდა და ციხიდან გათავისუფლდა.**

**ბევრი კი ისევ იხდის სასჯელს.**

**არადა, მურტალოს თქმის არ იყოს, ციხეს ორი კარი აქვს, ერთი შესასვლელი, მეორე გამოსასვლელი.**

**ისინიც გამოვლენ.**

**გია გაბრიჭიძე**

№ 170. ხუთშაბათი, 27 აგვისტო, 2009 წელი.

◉ ახია ჩვენზე!..

*საპკაშვილის ხელისუფლების სამზარეულოში რა ხდება, ვინ გაგვაგებინებს. შეფ-მზარეულის განცხადებით კი პრემიერი თურმე „ავტონომიური“ გამხდარა, ხოლო პრეზიდენტი „ნეიტრალური“. როდესაც პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მიერ ეკონომიკის მინისტრ ლაშა ჟვანიას თანამდებობიდან განთავისუფლების ამბავმა პრეზიდენტის ყურამდე მიაღწია, მან, როგორც დიდ პოლიტიკოსს შეჰფერის (შევარდნაძეში არ აგერიოთ, „დიდ პოლიტიკოსში“ აქ თვითონ სააკაშვილი იგულისხმება, რადგან „დიდს“ მან სწორედ „პოლიტიკურად“ მოუგო ტახტი), „ნეიტრალიტეტი“ დაიცვა (თუმცა ნეიტრალიტეტზე საერთოდ მწყრალად ბრძანდება): „ლაშა ჟვანია ჩემი მეგობარია და ამასთან ნიჭიერი და სასარგებლო კადრი, თუმცა ეკონომიკურ გუნდში საკადრო ცვლილებების შესახებ პრემიერს სრული ავტონომია აქვს“.*

ბ-ნი მიხეილისა და ბ-ნი ლაშას ურთიერთმეგობრობა გასაგებია, მაგრამ როგორ ეთავსება ეს ორმხრივი მეგობრობა ალასანიასთან მათს ცალმხრივ მეგობრობას? თუმცა თუ „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“, ჩემი მეგობრის მეგობარს რაღა დაუშლის, ჩემი მეგობარიც არ იყოს?! პოლიტიკასა და დიპლომატიაში ვერ გაიგებ, ვინ ვისი მეგობარია და ვინ ვისი მტერი. ერთი რამ ცხადია: ნიკა გილაურს არც იქით უჩანს მეგობარი და არც აქეთ. ქართულ პოლიტიკაში კი ყველაფერი მეგობრობით წყდება და მეგობარია და ამასთან ნიჭიერი და სასარგებლო კადრიო“, მაგრამ რა ქნას „ნეიტრალურმა“ პრეზიდენტმა, როცა „ავტონომიური“ პრემიერი მას არაფერს ეკითხება?! ამიტომ არის, რომ ბ-ნი ლაშა თავისი „წარმატების“ თანაშემოქმედ პრეზიდენტზე კი არ არის განაწყენებული, არამედ პრემიერზე: „ნიკა გილაური სუსტი პრემიერია“, ხოლო „პრეზიდენტის კურსის ერთგული და გულშემატკივარი ვრჩები და, ალასანიასთან ჩემი მეგობრობის მიუხედავად, ოპოზიციაში არ გადავდივარ“.

ისე, არც ბ-ნი ნიკა (გილაურიძ ვის. უბრალოდ ყველაფერს თავისი რიგი აქვს. არ იფიქროთ, რომ აქაც მიხეილბატონის მორიგ „დიპლომატიასთან“ გვქონდეს საქმე, აქაოდა პრემიერ-მინისტრებს დიდხანს ვერ იტანსო, ნიკა გილაურიც მოიცილოს. ბ-ნი მიხეილისა რა ბრალია, თუ პრემიერ-მინისტრს იმდენი ჭკუა არ ეყო, რომ სამი მინისტრი, რომელთაგან ორი პრეზიდენტის მეგობარია, ერთდროულად დაიპირისპირა?! პრეზიდენტი „ნეიტრალური“ კი არის, მაგრამ იძულებულია, სამ მინისტრს ერთი პრემიერ-მინისტრი ანაცვალოს!

# როდის მოიშორებს მიშა ნიკას?

## ამბავი პრემიერის ავტონომიისა და პრეზიდენტის ნეიტრალიტეტისა

არა პროფესიონალიზმით თუ კომპეტენციით. ვფიქრობ, ბ-ნი ნიკასათვის შემაფიქრიანებელი უნდა იყოს ის ფაქტი, რომ პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრის „ავტონომიურობას“ გაუსვა ხაზი და არა დამოუკიდებლობას!

დამოუკიდებლობას ბატონი მიხეილი ვერავის დაუთმობს. „თვითნებური“ დამოუკიდებლობის პატიებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. განსაკუთრებით საკადრო ცვლილებების საკითხში. საეჭვოა ისიც, რომ ნიკა გილაურს სააკაშვილის დამოუკიდებლად გადაედგა ეს ნაბიჯი. თანაც სამ მინისტრს ერთად შეჭიდებოდა! ჯანდაცვის მინისტრი კიდევ ჰო — ისიც უმეგობრო ჩანს. მაგრამ ეკონომიკის მინისტრი?! მის მეგობრობაზე, მამით ალასანიას რომ თავი დავანებოთ, დედით ალასანიაც აცხადებს პრეტენზიას! ხსნი რა, შენი დანიშნული ხომ არ არის?! თანაც ასეთ „ნიჭიერ და სასარგებლო კადრს“!

ყველა ყველა, მაგრამ მიზეზი თუ არა, საბაბი მაინც ხომ უნდა იყოს?! ჯანდაცვის მინისტრი კიდევ ერთხელ ჰო — „100 საავადმყოფო“ ვერ ააშენა! მაგრამ ბ-ნ ნიკას (რურუაზე მოგახსენებთძ რაღას ერჩის? აქაოდა, ფეხბურთის საქმე ვერ არის კარგადაო. დალოცვილო, ფეხბურთის საქმე ვინც გააფუჭა, იმას მოჰკითხე — გოკა გაბაშვილს, ის იყო „სპორტისა და კულტურის (!ძ“ ავან-ჩავანი, როცა ფეხბურთის საქმე ფუჭდებოდა, საწყალ ნიკა რურუას რას ერჩი?! რა, დაბალი ღობე ნახე?! ალარაფერს ვამბობ ბ-ნ ლაშაზე, რადგან იგი თვითონვე ამბობს: „მაგრამ, საბედნიეროდ, ჩეხეთთან ურთიერთობის პროცესში, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ჩვენ (ე.ი. ლაშა ჟვანია და პრეზიდენტი — **ო.ხ.**ძ ჩავერიეთ და 27 აგვისტოს საქართველოში ჩამოდის ჩეხეთის ფინანსთა მინისტრი, რაც ჩვენი (ე.ი. ლაშა ჟვანიასი და პრეზიდენტის — **ო.ხ.**ძ დიდი წარმატებაა, რადგან ხელი მოეწერება ინვესტიციების ხელშეწყობის ხელშეკრულებებს“.

ამის შემდეგ, არ უნდა გვიკვირდეს, რომ ბ-ნი მიხეილის საჯარო განცხადება, „ლაშა ჟვანია ჩემი უნდა იყოს მთლად თანმიმდევრული: „ლაშა ჟვანია ბოლო 14 წლის განმავლობაში ძირითადად დიპლომატიურ უწყებაში მუშაობდა და ეკონომიკას ვერ უძლვე-



ბა, ინვესტიციებს ვერ იზიდავსო“. საქართველოში ინვესტიციების მოზიდვას ინვესტორის ეკონომიკური დაინტერესება სჭირდება თუ დიპლომატიური ეშმაკობა?! ბ-ნი ლაშას აზრით, რა თქმა უნდა, მეორე: „ჩეხეთში ინვესტიციების მოსაზიდად საერთაშორისო დიპლომატიის მცოდნე ადამიანი — მე ან ჩემი სამინისტროს წარმომადგენლები (ეკონომიკის სამინისტროში, ჩანს, სულ დიპლომატები მუშაობენ!ძ უნდა წავსულიყავით და არა ჯანდაცვის მინისტრიო“ (ჯანდაცვის მინისტრს რა ესაქმებოდა, მართლაც გაუგებარია, მაგრამ რაღაც საქმე ექნებოდა, მინისტრებს რას გაუგებ, სულ ეგრე არ დადიან?!ძ. რაც შეეხება დიპლომატიური ეშმაკობის ქმედითობას, ამაში ლაშა ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილის ერთობლივმა ეშმაკობამ... უკაცრავად, „დიპლომატიამაც“ დაგვარწმუნა.

უნდა ვივარაუდოთ (ვარაუდების მეტი რა დაგვრჩენია, როდესაც სინამდვილეს „დიპლომატიურად„ ნილბავენძ, რომ პრეზიდენტი, მიუხედავად მისი „ნეიტრალურობისა“, საკადრო „სკანდალის“ გამო „ავტონომიურ“ პრემიერ-მინისტრს მადლობას ეტყოლონდ ისე, რომ მისი მოცილება მინისტრებს გადააბრალოს და მათი გულიც მოიგოს, თქვენი გულისათვის გავაკეთეო ეს. თუმცა ეს მომავლის პროექტია. პრემიერ-მინისტრი ჯერჯერობით ხელშეუხებელია და „ავტონომიური იმუნიტეტი“ იცავს. თუმცა, როგორც ზემოთ ითქვა, ავტონომია დამოუკიდებლობას არ ნიშნავს.

ნიკა გილაური აღმოსავლელი ქართველია (თემურ შაშიაშვილის გამოკვლევით, „სომეხი“, და მით უმეტესძ, მაგრამ დებილი ხომ არ არის, ვერ მიმხვდარიყო, რა ანგელოზი დააჯდა შუბლზე, როდესაც მიხეილ „მისმა უდიდებულესობამ“ მას კაბინეტის გადახალისება მოსთხოვა. იცოდა, რომ კადრების საკითხი მისი პრეროგატივა არ იყო, მაგრამ რა ექნა? უარი ეთქვა — თავისი წინამორბედი მგალობლიშვილის ბედი სანატრელი გაუხდებოდა. ადგა და ისევ ლაშა ჟვანიას წყენინება არჩია. ლაშა ჟვანიამაც იცის, რაშიც არის საქმე, როგორც ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ყველას ხელს აძლევს ნიკა გილაურზე განაწყენდნენ და არა „სააკაშვილზე“, რადგან საქართველოში განტევების ვაცები მხოლოდ პრემიერ-მინისტრები არიან და არა პრეზიდენტები.

**ომარ ხახაშვილი,**
**ბელგიის მოქალაქე**

◉ ვაი, ჩვენს პატრონს!

# სახელისუფლებო კადრების ფართიფურთი

კადრები წყვეტენ ყველაფერსო, თქვა ერთხელ ბრძენკაცმა, დიიდმა კაცმა... ჩვენთან, ჩვენს დროში სწორედ **სწორად შეურჩეველი და წამოტივტივებული კადრები აფუჭებენ ბევრ რამეს.** ეგ იმიტომ, რომ პროფესიულობის, საქმიანობის, გამოცდილების, გონიერების ნიშნებით კი არ შეირჩევიან, — არამედ „ქარიყლაპიას ბრძანებით“, იმის მიხედვით, თუ ვინ, როდის, როგორ მოუვა თვალში და თავში, მაგ ქარიყლაპიასა თუ ლარიყლაპიას...

ამბობენ, აგერ, „გუშლამ“ მოხსნილი ეკონომიკური განვითარების მინისტრი ყველაზე ნორმალური კაცი იყო მთავრობაშიო. შეიძლება, მაგრამ მაგისი „შრომითი“ ბიოგრაფიის მომსმენმა მოკლე პერიოდში ამდენი სხვადასხვა თანამდებობა რომ მოუცვლია (ელჩი, პარლამენტარი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და სხვაძ, რა ვქნა ახლა მე, უბრალო კაცმა, არ დავეჭვდე? აბა, სად დიპლომატიური საქმიანობა და სად — ეკონომიკის მინისტრობა. ამგვარ მინისტრობას ეკონომიკური, ფინანსური ცოდნა-განათლება, „სამრეწველო-სამეურნეო“ გამოცდილება არ სჭირდება?..

მეორე უფრო ელვარე მაგალითი ერთი ახალგაზრდა ქალბატონი გახლავთ, საბავშვო ბაღიდან ახლადგამოშვებული. ხალხო, ჩამქოლეთ, მაგრამ ორ-სამ წელიწადში რომ მოატარეს იუსტიციის მინისტრის, გენერალური პროკურორის (მგონი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისაც!ძ, საგარეო საქმეთა მინისტრის მაღალ თანამდებობებზე და ახლა რომ უშიშროების საბჭოს მდივნადაა წამოსკუპებული — დავიჯერო, ამხელა გაქანების, ასეთი დიაპაზონის, ამნაირი შესაძლებლობების მქონეა, ამგვარი უნივერსალიზმით მირონცხებულია? იუსტიციის მინისტრი ან გენპროკურორი როცა ბრძანდებოდა, მაშინ არ იჭერდნენ უდანაშაულოებს, არ ხვრეტდნენ ქუჩებში ახალგაზრდებს, არ „აცხობდნენ“ პოლიტპატიმრებს? აგვისტოს მოვლენებისას საგარეო საქმეთა მინისტრი არ იყო, მთლად რომ ასე „გაგვიფურჩქნა“ საგარეო პოლიტიკა? ამჟამად რომაა უშიშროების საბჭოს შეფი, იმიტომაც გრძნობენ უშიშრად თავს გალში ან გორ-ცხინვალთან მცხოვრები ქართველები? ვის, რის და როგორ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ნეტავი?

კიდევ ერთი ნიმუში ავიღოთ უნივერსალობისა — პარლამენტში რომაა განათლებისა და მეცნიერების (სპორტისაც!ძ კომიტეტის თავმჯდომარე. რაზეა და ვისზეა რომ არ აალაპარაკონ ჩვენმა ჩაუქმა და „ჭორსმჭვრეტელმა“ პრეზიდენტის ჯიბის ტელკომპანიებმა, რასაა და ვისაა, რომ არ შეახონ (აგერ სულ ახლახან არ იყო, ლაშა ჟვანიას მოხსნაზე რომ „იკომენტარა“?ძ — გარდა... განათლებისა და მეცნიერებისა (და თუნდაც ფეხბურთისა, ჩვენში ასე რომ „ჩაყვავდა“)...

მართლა ვაი ჩვენს პატრონს, ჩვენს ქარიყლაპიასა თუ ლარიყლაპიას, კადრების შერჩევისას უკადრებელს რომ კადრულობს, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებითა თუ აღზრდილებით რომ ავავსეთ ხელისუფლება და გამოცდილ, დამსახურებულ, ჭირგამოვლილ ძველ და სანდო კადრებს ასე უტიფრად „დირიჟორის“ ჯოხის ერთი აქნევით ვყრით ქუჩაში; ამის წყალობითაცაა, კარგად რომ მიგვიდის საქმე, სახელმწიფო რომ არ ჩამოგვეშალა, მსოფლიო ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისი მხოლოდ მობოდიშებით რომ შეგვეხო...

**ლუკა გორგაძე**

◉ ინფორმაცია

## ჟურნალისტი შალვა რამიშვილი პატიმრობიდან გათავისუფლდა

**4-წლიანი პატიმრობის შემდეგ ტელეკომპანია „202“-ის დამფუძნებელი შალვა რამიშვილი დაგეგმილზე რამდენიმე საათით ადრე გაათავისუფლეს.**

**ამჟამად, რამიშვილი უკვე საკუთარ სახლშია.**

**შეგახსენებთ, რომ რამიშვილი „202“-ის კიდევ ერთ მოწილე დავით კოხრეიძესთან ერთად მმართველი პარტიის მაშინდელი დეპუტატის კობა ბექაურისგან 100 000 აშშ დოლარის გამოძალვის ბრალდებით 2005 წლის აგვისტოში დააპატიმრეს.**



**2006 წლის მარტში რამიშვილს 4 წლით, კოხრეიძეს კი თავისუფლების 3 წლით აღკვეთა მიესაჯათ. კოხრეიძე შეიწყალეს და 2007 წელს ციხიდან გამოუშვეს, რამიშვილს კი სასჯელის ბოლომდე მოხდა მოუწია.**

**აღსანიშნავია, რომ 4-წლიანი პატიმრობის განმავლობაში რამიშვილს დანაშაული არ უღიარებია. მის შეწყალებაზე საუბარი რამდეჯერმე იყო და მეტიც, ის პრეზიდენტისა და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის დონეზეც კი განიხილებოდა, თუმცა საბოლოო ჯამში, მას ვადაზე ადრე გათავისუფლებაზე მიხეილ სააკაშვილმა უარი უთხრა.**

## შალვა რამიშვილი მიხეილ სააკაშვილთან პირისპირ შეხვედრას ითხოვს

**ჟურნალისტი შალვა რამიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან პირისპირ შეხვედრას ითხოვს. „მინდა მიშას შევხვდე და პირად საკითხებზე დაველაპარაკო. ის ჩემი მეგობარი იყო და მაინტერესებს, რა მოხდა, რატომ გამიკეთა ის, რაც გამიკეთა“, — განაცხადა შალვა რამიშვილმა .**

**ამასთან, მისი თქმით, ის ადამიანის უფლებების თვალსაზრისით და „დაჭაობებული მედიის გაწმენდისთვის“ აპირებს ბრძოლას, თუმცა ჟურნალისტის ამპლუაში დაბრუნებით, თუ პოლიტიკაში წასვლით, ჯერ არ გადაუწყვეტია.**

**რამდენიმე საათია რაც გამოვედი და ერთადერთი, რაც ამ ეტაპზე ვიცი, ის არის, რომ რაღაც-რაღაცეებს „გავაფუჭებ“, როგორც ეს მჩვევია. მთავარია, რომ ერთი ადგილი ციხეში ჩემთვის ყოველთვის იქნება, — იხუმრა რამიშვილმა.**

## დაანგრევს შალვა სააკაშვილის რეჟიმს?

**„ხალხის პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის კობა დავითაშვილის განცხადებით, „დარდუბალა 2“-ის ავტორი შალვა რამიშვილი ბევრ უსიამოვნო სიურპრიზს შესთავაზებს სააკაშვილის ხელისუფლებას და მის რეჟიმს დაანგრევს.**

**სააკაშვილის რეჟიმს რამიშვილისა ეშინია და სწორედ ამიტომ მოახდევინეს მას ბოლო დღემდე სასჯელი და ვადამდე გათავისუფლება მას არ შეეხო. სააკაშვილს ძალიან ცუდად წაუვა საქმე, „დარდუბალა“ 2-ის ავტორი ძალიან ბევრ უსიამოვნო სიურპრიზს შესთავაზებს მას, — განაცხადა კობა დავითაშვილმა.**

„ექსპრესნიუსი“ და ჯი-ეიჩ-ენი

გულის ბუხარი

# აფხაზ ეთნოსს საბოლოო ასიმილაცია ემუქრება!

## ვინ და რატომ ცდილობს, რომ აფხაზებს დაუკარგოს ისტორიული მეხსიერება, როგორია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა დამახინჯების ახალი რუსული იმპერიული გეგმა და რა არ უნდა დაივიწყოს აფხაზმა ხალხმა

როგორც ჩანს, ამ კატეგორიის პოლიტიკოსებმა ან მეხსიერება დაკარგეს ან ვარაუდობენ, რომ ხალხებს დაავიწყდათ რუსეთ-ჩეჩნეთის 1995-2000 წლების ომის გამომწვევი მიზეზი – ჩეჩნების მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნა, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. ასეთი მოთხოვნის პასუხად რუსეთმა მთელი ჩეჩენი ხალხი ტერორისტებად გამოაცხადა, საომარი მოქმედებები დაიწყო და 200 000 ჩეჩენი ფიზიკურად გაანადგურა, ჩეჩნეთის ქალაქები და სოფლები დაანგრია.

აფხაზეთის ასეთივე მოთხოვნა კი რუსეთმა სამართლიანად სცნო და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა! **მინდა ვკითხო დუმის იმ დეპუტატებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს აფხაზეთის დამოუკიდებლობას, როდი იყო რუსეთი მართალი: მაშინ, როცა უარი უთხრა ჩეჩნებს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე, თუ ახლა, როცა აღიარა აფხაზეთი და ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, სად არის აქ ლოგიკა, სამართლიანობა?**

და კიდევ ერთი კითხვა: **ამის შემდეგ ისინი დაუჭერენ მხარს რუსეთის ეთნიკურ ავტონომიებს, თუ ამ უკანასკნელებს გაუჩნდებათ ასეთი სურვილი?**

რაც შეეხება ქართველთფობიას აფხაზთა მხრიდან, ისინი ამას დიდი ხანია გაემიჯნენ.

სხვანაირად არც შეიძლება მომხდარიყო. ქართველებს და აფხაზებს შორის ურთიერთსიძულვილის არარსებობაზე მიგვანიშნებს ისიც, რომ ქართულ-აფხაზური და აფხაზურ-ქართული ერთობლივი ქორწინების პროცესი დღესაც გრძელდება. არაერთგზის აღმინიშნავს და ახლაც ვიტყვი, რომ ამ სტატიის ავტორს ორ სათაყვანებელ შვილიშვილს – თეოსა და თათია დოლბაძეებს უზრდის მისი აფხაზი რძალი, პირმშვენიერი ლაურა ავიძბა. სამაგიეროდ არც დოლბაძეები დარჩენილან ვალში აფხაზების წინაშე, მისი გაზრდილი ძმისშვილი ნანა დოლბაძე ლაკობების საგვარეულოს უზრდის ტყუპ და-ძმას იურა და იულია ლაკობებს.

ამ კონტექსტში საყურადღებოა შემდეგიც. ურთიერთსაუბარში გავარკვიეთ, რომ სოხუმის უნივერსიტეტის ძველ თანამშრომელთა უკვე 50 პროცენტზე მეტს აფხაზ ხალხთან აკავშირებს სისხლის და სხვა სახის ნათესაობა. დღეს კი ქართველი და აფხაზი ხალხის დაუძინებელი მტრები ცდილობენ, და არც ისე უშედეგოდ, უბადრუკი და ბილწი სიძულვილი დათესონ ამ ორ მოძმე ხალხს შორის, თითქმის დაუჯერებელი ჭორების, ღვარძლიანი სიცრუის ნთხევით სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდოს ისინი ერთმანეთს...

თუმცა კვლავ მთავარ თემას დავუბრუნდეთ.

სეპარატისტები და მათი მოსკოველი მფარველები, გვჯერა, მალე მოიმკიან მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის – ეთნოწმენდისა და გენოციდის – უმძიმეს შედეგებს. მათ ამაზე უეჭველად მოსთხოვს პასუხს ქართველი და აფხაზი ხალხი. უკვე დაიწყო ეს პროცესი: რუსების მიერ აფხაზეთში დამყარებული „ახალი“ წესრიგის წინააღმდეგ აფხაზმა ხალხმა წამოიწყო გაბედული ბრძოლა. თუ ამ „წესრიგით“ უკმაყოფილო აფხაზმა მესაზღვრეებმა დღეს ტყეს მისცეს თავი, გვჯერა, ხვალ ისინი, აფხაზი ხალხის ნება-სურვილის შესაბამისად, შეებრძოლებიან ახლებური ფაშიზმის რანგში აყვანილ რუსულ მართლწესრიგს აფხაზეთში. აფხაზმა ახალგაზრდობამ დღეს პროტესტი გამოთქვა ამ „წესრიგის“ წინააღმდეგ. ხვალ კი... ვნახოთ, რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე.

ახლა კვლავ მივუბრუნდეთ სტატიის ქვესათაურში გამოტანილ ორივე პრობლემის ძირითად საკითხებს. ისინი ამ შემთხვევაში ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან.

ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაყალბებაზე ზემოთ უკვე ვთქვი, ახლა კი ვცადოთ, დეტალურად განვიხილოთ ის ვერაგული მიზნები, რომელთა მიღწევასაც ისტორიის გაყალბებით ცდილობდნენ მათი ავტორები. ამისთვის საკმარისია გავიხსენოთ ჯერ კიდევ 1907 წელს გამოცემული ვინმე ვორონოვის წიგნი, რომელიც მრავლისმეტყველად იყო დასათაურებული... **„აფხაზეთი საქართველო არაა“.** თუ ამას დავუმატებთ სეპარატისტული იდეოლოგიის ძირითად ლოზუნგს, რომლის თანახმად აფხაზეთში დატრიალებული ყველა უბედურება სათავეს საქართველოში იღებს, და რაც არსებითია, იმ უბედურებათა შორის უმთავრესი, რომელიც აფხაზ ეთნოსს თავს დაატყდა 1860-1880-იან წლებში მუჰაჯირობის სახით, თითქოს საქართველოს მიერ იყო ორგანიზებული და განხორციელებული. ასე ნელნელა, სისტემურ ფორმებში მიჰყავდათ იმპერიულ ძალებს ქართულ-აფხაზური ურთიერთობა 1992-93 წლების ქართულ-აფხაზურ ომამდე. მიჰყავდათ და მიიყვანეს კიდეც. ბევრი აფხაზი წამოეგო იმპერიულ ანკესს, განუდგა ქართველ ხალხთან ოცდაუკუნოვან ისტორიულ სისხლით ნათესაობას, ნათელ-მირონობას, მოყვრობას, მორდუობას და ქართველი მტრად ჩათვალა...

ახლა მკითხველს მინდა შევთავაზო მუჰაჯირობის პერიოდის ზოგიერთი დოკუმენტი, სადაც ნათლად ჩანს რუსეთის იმპერიული ძალების შეხედულება აფხაზ ხალხსა და მის ადგილზე რუსეთის იმპერიაში თუ მის ფარგლებს გარეთ. შევახსენოთ აფხაზ ხალხს, რისი დავიწყება არ მართებთ რუსეთთან და ქართველებთან მიმართებით.

მაშ ასე, რა არ უნდა დაივიწყონ აფხაზებმა რუსეთთან მიმართებით. მოვუსმინოთ ცნობილ პროფესორს ზურაბ ანჩაბაძეს: „абхазы были обьяввлены временными жителями своей страны и за малейшее антиправительственное выступление грозило поголовное выселение с родины“ (З. Анчабадзе, „Очерк этнической истории абхазского народа“).

თუ ამას დავუმატებთ ცარიზმის მიერ აფხაზი ეთნოსის დამნაშავე ხალხად გამოცხადებას და აფხაზთა თურქეთში მასობრივად გადასახლებას, როცა აფხაზეთი ძალით დაატოვებინეს 50 000 მუსულმან აფხაზს, რომლის ერთი მესამედი მაინც გზაში დაიღუპა, შეგიძლიათ წარმოიდგინოთ აფხაზთა ხალხის გაუსაძლისი ყოფა რუსეთის იმპერიის ხელში. გაზეთ „Русский мир“ მიესალმა აფხაზების თურქეთში გადასახლებას: **„უნდა გვიხაროდეს აფხაზების თურქეთში გადასვლა. მათი გადაქაჩვა გაუადვილებს სოხუმის ადმინისტრაციას, რომ თავისი სურვილისამებრ მოაწყოს ქალაქები და სოფლები აფხაზეთში“.**

არც რუსეთის მეცნიერული წრის წარმომადგენლებს დაუტოვებიათ მუჰაჯირობა პოზიტიური შეფასების გარეშე. ასე, მაგალითად, ცნობილი რუსი ისტორიკოსი ნ.ბუტკევიჩი გაუბედურებულ აფხაზ ხალხს **„შინაურ მტრებს“** უწოდებდა და ყველას არწმუნებდა, რომ მათი გასახლება მხოლოდ სარგებლობას მოუტანდა ცარიზმს, იმ შემთხვევაში თუ აფხაზების გასახლების შედეგად გამოთავისუფლებულ მიწებზე ძირითადად რუსი ეროვნების მოსახლეობას ჩაასახლებდა, და ამით რუსეთის ხელისუფლებას განამტკიცებდა აფხაზეთში.

იმპერიის სამხედრო პირებიც მხურვალედ მიესალმებოდნენ აფხაზების მუჰაჯირობას თურქეთში. ასე, მაგალითად, გენერალი სვიატოსლავ მირსკი მეორე სამხედრო პირს გენერალ კარცოვს წერდა: „Если часть абхазцев возымеет намерение удалиться в Турцию, то полагаю, что препятствовать этому не следует“.

ახლა ვნახოთ, რას ფიქრობდნენ და რა წარმოდგენა ჰქონდათ აფხაზებსა და აფხაზურ ენაზე რუს კოლონიზატორებს. მკითხველს ვთხოვ, კარგად ჩაუკვირდეს ამ ციტატაში გამოთქმულ ვერაგულ მიზნებს, დაუპირისპირდნენ ერთმანეთისთვის ქართველი და აფხაზი, ქართული და აფხაზური ენა.

абхазский язык, не имеющий письменности и литературы, обречен, конечно, на исчезновение в более или менее близком будущем. Вопрос в том, какой язык заменит его? Очевидно, что роль проводника в населении культурных идей должен был играть не грузинский, а русский язык.

Учреждение абхазской письменности должно быть не целью Само по себе, а только средством к ослаблению, путем церкви и школы потребности в грузинском языке, постепенной замене его языком государственным (инал ифа, „абхазы“ 1965 стр. 164-165).

შემოთავაზებული ციტატა დამოწმებულია შალვა ინალ იფას ზემოთ მითითებული წიგნიდან. საქართველო-აფხაზეთის კოლონიზაციის იმპერიული გეგმის იდეოლოგების მოსაზრებით მათი მზაკვრული ჩანაფიქრი უნდა განხორციელებულიყო შემდეგნაირად.

„Мы имеем абхазцев с большой натяжкой? Потому что несколько тысяч человек причисляют к абхазской народности, но язык у них не абхазский, а мингрельский“...

Для блага цивилизации и для преуспеяния и в этом диком крае, вместе с двумя или тремя русскими школами, очень было бы полезно восстановление хоть двух-трех русских священников (12.XII.1865).

გამოდის, რომ ცივილიზაციის სიკეთისთვის უკეთესი იქნება, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ მეგრელები და აფხაზები და მათთვის ამ ბინძური მიზნის მისაღწევად რელიგია ჩავრთოთ.

ახლა ვნახოთ, როგორ ახასიათებდნენ აფხაზ ხალხს და რა წარმოდგენა ჰქონდათ მასზე იმპერიალიზმის იდეოლოგებს:

„Русская колонизация округа имеет большое государственное значение и в политическом отношении, абхазцы представляют из себя народность крайне малокультурную, малоразвитую как в умственном, так и внравственном отношении... и свою Политическую Неблагодарность. Грузинское движение в Сухумском округе служит тормозом к обрусению Края“.

(1. Газ. „Народное образование“, 1990, 14 июня; Дж. Гамахария, Б. Гогия, „Абхазия – историческая область Грузии. Тб. 1997, стр. 61).

2. იგივე ციტატა იხილეთ ს. ლეკიშვილის წერილში „პასუხად ისტორიკოს ს.ლაკობას“ (გაზეთი „სახალხო განათლება“, 14 ივნისი, 1990 წ.ძ.

**ამაზე დიდი შეურაცხყოფა აფხაზი ხალხისთვის არასდროს არავის არ მიუყენებია, მით უფრო ქართველებს. აი, ეს არ უნდა დაივიწყონ აფხაზებმა და ქართველებმა, რადგან, ვიმეორებ, ზემოთ მოყვანილი დახასიათება არა მარტო აფხაზის, არამედ ქართველი კაცის შეურაცხყოფაცაა.**

რაც შეეხება ქართველი ხალხის დამოკიდებულებას აფხაზი ხალხისადმი, მათი თანაცხოვრების 2000 წლის მანძილზე ის ყოველთვის იყო გაწონასწორებული, კეთილგანწყობილი, დადებითი. უბედურება აფხაზეთსა და საქართველოში 1801 წელს მოვიდა, როდესაც იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა მანიფესტით საქართველო რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა...

**ზემოთ მოყვანილის მსგავსი მაგალითების მოტანა კიდევ ბლომად შეიძლება, მაგრამ ღირს კი? ისედაც ხომ ყველაფერი ნათელია?**

**მით უფრო, რომ სათქმელი უამრავია, მაგრამ ყველაფერს ხომ ერთ სტატიაში კი არა, ერთ წიგნშიც ვერ ჩატევ. თუმცა ერთი რამ მაინც განსაკუთრებულად უნდა გამოიყოს – 2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთის აგრესია საქართველოში – მუსულმანი აღა მაჰმად ხანის მიერ 1795 წელს საქართველოში აგრესიისა და თბილისის აოხრების პირდაპირი განმეორება.**

**ხოლო რაც შეეხება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარებას და საქართველოს შემადგენლობიდან გაყვანას, მისი პოლიტიკური შედეგები როგორც ზემოთ ვთქვი, უმძიმესი შეიძლება გამოდგეს თავად რუსეთისთვის.**

**თვით აფხაზებისა და ოსების, ასევე ქართველების გადარჩენის ერთადერთი გზა კი მხოლოდ ამ მოძმე ერების ძმობა-ერთობაშია. ეს არის მთავარი.**

**დავით დოლბაძე,**
სამართლის დოქტორი.



დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 169.

სხვათა აზრი

# აგვისტოს ომის შედეგები კავკასიისთვის

## გაუზიარებელი კატასტროფა და „ძალის ხაფანგი“

ერთ-ერთ ინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ფაქტობრივად აღიარა, რომ მისმა რეფორმებმა (როგორც არ უნდა შეაფასონ ისინი გარეშე დამკვირვებლებმა) საზოგადოებაში განხეთქილება წარმოშვა.

ამ განხეთქილებამ თავი იჩინა 2007 წლის ნოემბერში, როცა პოლიციამ დედაქალაქში მიტინგი დაარბია. 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგად ეს კრიზისი კიდევ უფრო გამძაფრდა, რამდენადაც ტენდენცია, აშკარად მიმართული მ. სააკაშვილის პირადი ძალაუფლების რეჟიმის ფორმირებისკენ, გრძელდებოდა და ღრმავდებოდა. აღვნიშნოთ, რომ საქართველოში პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმის დაუბალანსირებლობა, მასში სპონტანურობის ელემენტის დიდი წილი იქცა აგვისტოს კატასტროფის ერთ-ერთ ფაქტორად.

ქვეყანაში ამჟამინდელი კრიზისის მდორედ მიმდინარეობამ, შიგადაშიგ ტრაგიკომიკურმა მოვლენებმა თბილისის ქუჩებში არავინ არ უნდა შეაცდინოს. ქართველი საზოგადოება და სახელმწიფო მძიმე კატასტროფას განიცდიან. ყველაზე ცუდი ის არის, რომ კრიზისი ვერ ჰბადებს ახალ იდეებს, მიდგომებსა და ლიდერებს, არ უწყობს ხელს ეროვნული განვითარების ახალი პარადიგმის შექმნას.

2007 წლის შემოდგომაზე ოპოზიცია წინა პლანზე აყენებდა ცვლილებათა ინსტიტუციურ პროექტებს (საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა, საარჩევნო სისტემის რეფორმები და სხვ.). ახლა დღის წესრიგშია ერთადერთი მოთხოვნა – სააკაშვილის გადადგომა, მაგრამ კონკრეტული პოზიტიური პროგრამის არქონა ოპოზიციონერებს წარუმატებლობას უქადის. პრეზიდენტის გუნდს რაც შეეხება, მისი უუნარობა, რომ თუნდაც ნაწილობრივ გადახედოს საშინაო პოლიტიკის ჩამოყალიბებულ მიდგომებს (იმათი იმპროვიზაციით, გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმების დახურულობით, ავტორიტარული მეთოდებით), მ.სააკაშვილს „კოჭლ იხვად“ აქცევს რწმუნებების კონსტიტუციური ვადის გასვლამდე დიდი ხნით ადრე და იმ ძლიერი სვლების გაკეთების შესაძლებლობას არ უტოვებს, რომლებიც კრიზისის გადალახვას მოემსახურებოდნენ.

საქმე მარტო მოქმედი ქართველი პოლიტიკოსების პირადი თვისებები როდია. ეროვნული განვითარების ახალი პარადიგმის ფორმირება ქართველი საზოგადოებისგან, ქვეყნის პოლიტიკური კლასისგან მოითხოვს პასუხების გაცემას ძალიან რთული კითხვების კომპლექსზე: როგორ უზრუნველჰყონ პოლიტიკური რეჟიმის კონსოლიდირება? როგორ ააგონ ეკონომიკური პოლიტიკა? როგორ კომპრომისზე წავიდნენ „ყოფილებთან“? როგორ გამოიყვანონ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობანი თბილისისათვის დამღუპველი მოსკოვისა და ვაშინგტონის დაპირისპირების კონტექსტიდან? უკანასკნელი საკითხი საჭიროებს ქართული ელიტის მიერ ამჟამად დასახული იმ მიზნებისა და ამოცანების გადასინჯვას, რომლებიც ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას ეხებიან და უკვე აქედანაც გასაგებია, თუ რამდენად ძნელი მისაღწევია ახალი კონსენსუსი საქართველოში.

თბილისი განაგრძობს მოსკოვთან კონფრონტაციაზე ფსონის მხარდაჭერას. ამ პოლიტიკის პრაქტიკული გამოვლენები, რამდენადაც შეიძლება მსჯელობა, ერთმანეთს ენაცვლებიან ქართული დიპლომატისთვის მისაწვდომ ყველა საერთაშორისო მოედანზე უკომპრომისო დაპირისპირებიდან ჩრდილოეთ კავკასიაზე მადესტაბილირებელი ზეგავლენის მოხდენის ცდებამდე. ძნელია უწოდო ასეთ პოლიტიკას რეალისტური. არსებითად ის გამოდის რუსეთში ჰიპოთეტური კატასტროფის ვარაუდიდან, რომლის დროსაც ქვეყანა იმდენად ღრმა შინაპოლიტიკურ კრიზისს გადააწყდება, რომ დეზინტეგრაციის ზღვარზე აღმოჩნდება. ივარაუდება, რომ ასეთ პირობებში რუსეთი ან იძულებული შეიქნება, რომ შეასრულოს საქართველოს დასავლეთელი მოკავშირეების მოთხოვნები და გააუქმოს გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე (ორივე კონფლიქტის შემდგომი ინტერნაციონალიზაციით), ან ვერ შეძლებს რესპუბლიკებში სამხედრო ჩარევის განხორციელებას, თუკი თბილისი თავის კონტროლქვეშ ძალით იმათი დაბრუნებისკენ მიმართულ ახალ ოპერაციას წამოიწყებს.

სხვა სიტყვებით, საქართველოს ხელისუფალთ სსრ კავშირის კოლაფსის რაღაცა მსგავსის იმედი აქვთ; არადა, თანამედროვე რუსეთი, იმისი ამჟამინდელი გასაგები ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, არ ამჟღავნებს ამგვარი სცენარის გამოჩენის ნიშნებს, იმაზე რომ არა ვთქვათ – რა, რომ ასეთი მასშტაბის კატასტროფები რიგით მოვლენას არ წარმოადგენს მსოფლიო ისტორიაში და იმათზე გათვლით საკუთარი პოლიტიკის აწყობა მაინცდამაინც გონივრული როდია.

შესაძლოა, თბილისის უფრო რეალისტური პოზიციის გამომუშავებას ხელს შეუწყობდა მოსკოვის ისეთი ნაბიჯები, რომლებიც დასწევდნენ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებში კონფრონტაციის გრადუსს, რა თქმა უნდა, ამასთან ერთად კრემლისთვის პრინციპული საკითხების შეუხებლად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის შესახებ; მაგალითად, აშკარად მოძველდა რუსეთის ბაზარზე ზოგიერთი ქართული საქონლის შეტანაზე არსებული აკრძალვა. ამგვარი ნაბიჯებისთვის არ არსებობს მნიშვნელოვანი დაბრკოლებები, მაგრამ არც საკმარისი სტიმულებია იმათი გადადგმისთვის, რაც ასახავს კავკასიაში რუსეთის ახლანდელი პოზიციის ზოგიერთ ჯერაც შეუფასებელ სუსტ მხარეს.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზების შექმნა მოხსნის რფ-ის უმნიშვნელოვანეს პრობლემას ამ რეგიონში უსაფრთხოების სფეროში, იმ პირობებში, როცა თბილისი არ სცნობს ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ეს ბაზები დაბრკოლებად ექცევა ნატოში საქართველოს ინტეგრაციას.

ჯერ ერთი, თუ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მას თავის შემადგენლობაში მიიღებს, იმ სიტუაციაში აღმოჩნდება, როცა აღიარებული ქვეყანა-წევრის ტერიტორიაზე დისლოცირდებიან რუსეთის ჯარები. ნატოსა და რფ-ის სამხედრო მანქანების უშუალო თანხება ესოდენ გაურკვეველ სიტუაციაში პოტენციურად ერთობ სახიფათოა, განსაკუთრებით საქართველოსთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზღვრებზე ხშირი შეიარაღებული ინციდენტების გათვალისწინებით. საეჭვოა, რომ ნატო წავიდეს ასეთ რისკზე.

> ***მძიმე დამარცხებისას თვით საქართველოში კატასტროფა მხოლოდ ემოციურ რეაქციაში გადაიზარდა, თუმცა არ იქცა უწინ მიღებული სტრატეგიის გადაფასების საგნად. საქართველოს პოლიტელიტა ძველებურ რიტორიკას მისდევს, ძველებური მიზნების დეკლარირებას ეწევა.***

მეორეც, სამხედრო ბაზა სამხრეთ ოსეთში განლაგებულია თბილისიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში და რამდენიმე კილომეტრში ზღვასთან და დასავლეთ რეგიონებთან ქვეყნის აღმოსავლეთისა და დედაქალაქის დამაკავშირებელი რკინიგზიდან და საავტომობილო გზიდან. ეს აშშ-სთვის დიდწილად აუფასურებს საქართველოს, როგორც პლაცდარმს კავკასიაში. ნატოში საქართველოს შესვლაზე ასეთი წონადი შეზღუდვები დღის წესრიგიდან ხსნიან ბლოკის ექსპანსიას რეგიონის სხვა სახელმწიფოებში: ესოდენ მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქვეყნის გარეშე ამგვარი ექსპანსია მოკლებულია პრაქტიკულ აზრს.

ძნელია იმის შეუმჩნევლობა, რომ რეგიონში რუსეთის ახალი მომგებიანი მდგომარეობა უზარმაზარი ხარისხით (ეგებ მთლიანადაც) უზრუნველიყოფა ძალისმიერი მექანიზმების ხარჯზე. ამ კონტექსტში მოსკოვისათვის არსებითად მნიშვნელოვანია სამხედრო ბაზების ქონა მხოლოდ რუსეთისა და ნიკარაგუას მხრივ აღიარებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, აგრეთვე ამ ორ რესპუბლიკაში პოლიტიკურ პროცესთა წინასწარ გათვლა. რფ-ის გაზრდილი ზეგავლენა პოლიტიკურ „მომთავრებას“ საჭიროებს; სხვანაირად კრემლი „ძალის ხაფანგში“ გაებმება, როცა უსაფრთხოების ყველაზე არსებითი პრობლემების გადაჭრის შემდეგ დაკარგავს რეგიონში თავისი პოლიტიკის შემდგომი განვითარების პროგრამას.



თეორიულად ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება ან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პრინციპული ცვლილებების ხარჯზე (რაც უკიდურესად ძნელია დღევანდელ პირობებში), ან სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებით დიპლომატიური აქტიურობის გაძლიერების გზით (საქართველოს რეგიონული იზოლაციის პერსპექტივის მხედველობაში ქონით).

სომხეთის პოზიცია აგვისტოს კრიზისის მსვლელობისას და შემდგომაც უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე ამის წარმოდგენა ადრე შეიძლებოდა. ერთი მხრივ, მთიანი ყარაბაღის ფაქტორი აიძულებს ერევანს, რომ დაინტერესებით მაინც განიხილოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სტატუსის შეძენა, მეორე მხრივ – საქართველოს ტერიტორიის გავლით ტრანზიტზე არსებითი დამოკიდებულება მოითხოვს თბილისთან კარგი ურთიერთობების შენარჩუნებას.

დაიწყო სომხეთ-საქართველოს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობათა განვითარება, რაც აგვისტომდე თითქმის არ შეიმჩნეოდა; საკმარისია თქმა, რომ 2008 წლის სექტემბრის ბოლოს ორი ქვეყანა შეთანხმდა ერევანი-ახალქალაქის-ბათუმის საავტომობილო გზის მშენებლობაზე და ერევანი შეუდგა მოცემული პროექტისთვის საჭირო ფინანსების მოძიებას. ეს მაგისტრალი მნიშვნელოვანია როგორც სომხეთისთვის (რომელსაც გაუფართოვდება გასვლები შავი ზღვის ნავსადგურებისკენ), ასევე საქართველოსთვისაც (ქვეყნის აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედრო ბაზიდან შედარებით საკმაო მანძილზე გამავალი დამატებითი სატრანსპორტო მარშრუტი იქნება). აღვნიშნოთ, რომ ქართულ ტრანზიტზე სომხეთის დამოკიდებულებამ შეუძლებელი გახადა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონსოლიდირებული, საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობა იმ სახელმწიფოთა მიერ, რომლებიც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (კუხო) წევრები არიან. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი რომ ეცნო, სომხეთი (კუხოს წევრი) ავტომატურად გაწირავდა თავს საქართველოს მხრიდან სატრანსპორტო ბლოკადაზე, რაც ერევანს ერთობ სერიოზულ ეკონომიკურ სიძნელეებს მოუტანდა.

საქართველოს არანაირ რეგიონულ იზოლაციაზე არ ეგების ლაპარაკი, სანამ მაინც ერევანს, ანკარასა და ბაქოსთან არ მოუგვარებია ურთიერთობანი. სომხეთ-თურქეთის საზღვრის შესაძლო განბლოკვა, რისი პერსპექტივაც გამოჩნდა ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების აპრილის განცხადების შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტისგან სომხეთის დამოკიდებულებას შეასუსტებს, ოღონდ ამავე დროს ავნებს რუსეთთან სომხეთის კავშირებს, რომლებიც არცთუ მცირედ არიან განპირობებული უახლოეს მეზობლებთან ერევნის რთული ურთიერთობებით.

რუსეთი, ალბათ, პირველად მთელი პოსტსაბჭოური ისტორიის მანძილზე, აწყდება ესოდენ აშკარა დისბალანსს „ხისტი“ და „რბილი“ ძალის ინსტრუმენტებს შორის და ამ უკანასკნელის დეფიციტის შევსების აუცილებლობას. ეს გამოწვევა თუ იქნება გაცნობიერებული და მას ადეკვატური პასუხი გაეცემა, მოსკოვს გაუჩნდება შანსი, რომ აგვისტოს ომში მოპოვებული წარმატებები უაღრესად პოლიტიკურ კალაპოტში განავითაროს; თუ ეს არ მოხდება, იმისი რისკი ემუქრებოდა, რომ კავკასიაში რუსეთის გავლენა თანდათანობით შემცირდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებამდე.

უახლოეს ხანში კიდევ ერთ საგულისყურო პუბლიკაციას გაგაცნობთ ჟურნალის წლევანდელი მესამე ნომრიდან: გრანტ მიქაელიანის „სომხეთის საგარეო პოლიტიკა: აშშ-ის, ევროპისა და რუსეთის ინტერესთა შეთავსების ცდა“. იმედი გვაქვს, მთლად პროსომხეთური არ მოგეჩვენებათ...

**ნიკოლოზ სილაევი,**
**მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიის კვლევის ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი**

**დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 168-169.**

ინფორმაცია

### ჯუჯა სამხრეთ ოსეთში 18 სამინისტრო ყოფილა!

**ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა მთავრობის რეორგანიზაციის ბრძანებულებას მოაწერა ხელი, რომლის თანახმად სამინისტროთა რაოდენობა 18-დან 10-მდე შემცირდება. შესაბამისი ინიციატივა დე ფაქტო პრემიერ-მინისტრს ვადიმ ბროვცევს ეკუთვნის.**

**ბროვცევის განცხადებით, მთავრობის სტრუქტურის ცვლილება განპირობებულია „სამხრეთ ოსეთის მართვის რადიკალური სრულყოფის აუცილებლობით“.**

**მისივე თქმით, სამინისტროების რაოდენობრივად შემცირებასთან ერთად არსობრივად შეცვლილია ფუნქციები და დაკონკრეტებულია გადასაჭრელი საკითხები.**



**მთავრობამ უნდა შეიმუშაოს კანონი „სამხრეთ ოსეთის მთავრობის შესახებ“ და წარუდგინოს პარლამენტს. ცვლილებები იქნება შესატანი ბიუჯეტის შესახებ კანონშიც.**

**სამთავრობო რეორგანიზაციის ინიციატორი, ახალი პრემიერ-მინისტრი ვადიმ ბროვცევი, რომელიც ადრე ჩელიაბინსკის საამშენებლო კომპანია „ვერმიკულიტის“ დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი იყო, კოკოითმა თანამდებობაზე 5 აგვისტოს დანიშნა.**

### არსენ გაგლოევი დაწინაურდა

**ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად არსენ გაგლოევი დანიშნა.**

**პარალელურად მან დე ფაქტო პრემიერ-მინისტრის ვადიმ ბროვცევის რეკომენდაციით, ხელი მოაწერა ბრძანებულებას სამინისტროების შემცირების შესახებ.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

## ინფორმაცია

### პუტინმა კოკოითი შვებულებაში გააგზავნა

ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი შვებულებაში რამდენიმე თვით გადის. ამის შესახებ „სტროიპროგრესის“ გენდირექტორმა ალბერტ ჯუსოევმა განაცხადა.

შვებულების შესახებ სეპარატისტების ლიდერმა 24 აგვისტოს განაცხადა, მას შემდეგ, რაც „მოსკოვიდან ერთმა ძალიან დიდმა ხელმძღვანელმა პირმა დაურეკა“. კოკოითმა თქვა, რომ ის სამი თვე არ იქნება, რადგან პუტინი მას შვებულებაში აგზავნის, — განაცხადა „სტროიპროგრესის“ გენდირექტორმა.

კოკოითი სამხრეთ ოსეთში არც ერთ საზეიმო ღონისძიებაში არ მიიღებს მონაწილეობას. ჯუსოევის განცხადებით, რუსეთის მხრიდან სამხრეთ ოსეთის აღიარების წლისთავზე კოკოითს რუსეთის პრემიერი ვლადიმირ პუტინი მოსკოვში მიიღებს...

### ვლადიმერ პუტინმა სოხუმში და ცხინვალში ჩასვლა გადაიფიქრა

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა სოხუმში და ცხინვალში ჩასვლა გადაიფიქრა.

როგორც „ექსპრენიუსს“ აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან სანდო წყარომ აცნობა, ვლადიმერ პუტინი გუშინ სოხუმში, თვის ბოლოს კი ცხინვალში გეგმავდა ჩასვლას, თუმცა მოულოდნელად გადაიფიქრა.

წყაროს ინფორმაციით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე პუტინის ვოიაჟების გადადება, სავარაუდოდ, საერთაშორისო საზოგადოების გაღიზიანებისგან თავის შეკავების მიზნით გადაიდო.

სეპარატისტების ე.წ. დამოუკიდებლობის ცნობის დღესასწაულის დასრულების შემდეგ კი მოსკოვში პუტინთან შესახვედრად ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის დე ფაქტო პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ჩავიდა.

### რუსეთის აღიარება ინტეგრაციისკენ გზას გვიხსნის

ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის დე ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშს რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობა მიულოცა.

„26 აგვისტოს აფხაზი და ოსი ხალხი ისტორიული დღის წლისთავს აღნიშნავს, როდესაც რუსეთის ფედერაციამ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მხრიდან დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ, ჩვენმა ხალხმა აღიარება და უსაფრთხოების გარანტიები მიიღო. აფხაზი და ოსი ხალხის 20-წლიანი სურვილია სამართლიანობა ამ აღიარებით დამტკიცდეს. მიღწეული გამარჯვება ნიშნავს, რომ ჩვენი მხრიდან გაღებულ მსხვერპლს ტყუილად არ ჩაუვლია.

რუსეთის ფედერაციის მიერ ჩვენი აღიარება ქართველი აგრესორი რეციდივისტების მხრიდან არამხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაცვას ნიშნავს, არამედ რეალური შანსი გვეძლევა საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაციისთვის...

„ექსპრესნიუსი“

## ერის დამცველი ისტორია

# საიდან გაიტაცეს

## ფაზისის ხეობა – ქართული



***დედაისტორიაზე** უფრო დიდი სიმდიდრე არ გაგვაჩნია. ის ერთადერთია, რაც ვერ წაგვართვეს, ესაა თავისუფლებისა და სიცოცხლის წყურვილი, ღმერთმა რომ დაგვანათლა. სიცოცხლე და თავისუფლება ერთია! — ეს გულიდან ამოხეთქილი ქართველის გენეტიკური მოწოდება კოლხეთის, რაჭის მთიანეთის, ფუტიეთის ტაძრის ეპიტაფიაა, ტაძრისა, რომლის მსგავსი საეკლესიო ბრძოლა არ ახსოვს მსოფლიოს (ამაზე ქვემოთ). ამიტომ ჩვენ ჩვენს ისტორიას უნდა ვეპატრონოთ და თავისი ადგილი დავუმკვიდროთ, ერს თავისი ისტორიაც იცავს. დროა ჩვენ სულიერი სიმაღლეები წარმოვაჩინოთ, რომლის გენოციდიც მოგვიწყვეს და ახლაც გვიპირებენ ეს, მართლაც, ბარბაროსები, რომლებიც, როცა ჩვენ, „ვეფხისტყაოსანს“ ვწერდით, ხეებზე დახტოდნენ და როცა კოლხეთს ეგვიპტე იცნობდა, ამათი სახსენებელი არ იყო, რომ არაფერი ვთქვათ ბერძნებსა და არგონავტებზე...*

არგონავტების ნაკვალევს მივყვებით ფაზისის აკადემიის თაოსნობით ფაზისის-რიონის ხეობით. იგია ძარღვი კოლხური არეალის – „ჩვენი ამაზონკა“, რიონის სათავეებისკენ, ფასისის მთისკენ – კოლხეთის მაღალმთიანეთისაკენ მივიწევთ იმ დღეებში, როცა ახალი „არგონავტები“ ფაზისში, ფოთში შემოვიდნენ. ეს იყო არა მეცნიერულ-ტურისტულ-კომერციული მარშრუტი, მაგრამ თუ მართლაც ისტორიის და უძველესი არგონავტების ისტორიულ ნაკვალევს ეძებენ, ფაზისის სათავეებამდე უნდა ასულიყვნენ. ეს მარშრუტი შემდგომ განვრცობას მოითხოვს, ფაზისიდან – ფოთიდან (ხაზს ვუსვამ – ფაზისი სხვაგან არ ყოფილა), ანუ ფუტიდან – ფუტიეთამდე, საიდანაც არგონავტებმა გაიტაცეს წიგნი ლითონის დამუშავების ტექნოლოგიაზე.

ფაზისის აკადემიამ უმთავრეს მიზნად ეროვნული სულისკვეთების აღორძინება, რეგიონებს შორის ურთიერთობის განახლება, ძმობისა და მეგობრობის განმტკიცება გაიხადა.

მისი მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი მიმართულება კოლხეთია, რამეთუ ის გახლავთ საქართველოს ისტორიის საწყისი და ქართლის ცხოვრება მისი გაგრძელებაა. აკადემიამ უდიდესი სამუშაო შეასრულა, თვით ფაზისის ისტორიული კვლევის თვალსაზრისით.

და აი, ახლა ფუტიეთისკენ მივდივართ. უკან ერთად მსხდომნი, ფაზისის აკადემიის კოორდინატორი ვაგნერ მხეიძე, „არგოს“ მაკეტის ავტორი ბორის პაპასკუა და მე ვფხიზლობთ, რომ არ დავაზიანოთ გემის მაკეტი, რომელიც მუხლებზე გვიდევს. თან მიგვაქვს წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხატი.

– იტალიური მინაა და ვაი თქვენს ტყავს თუ გატყდაო, – გვაფრთხილებს ბატონი ნუგზარ ნადარაია, ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (არადა, ვერ შეამჩნევ, რომ ხატს მინა აქვს, საოცარია...ძ ღვთის უპირველესი მოციქულიც ხომ იქ ქადაგებდა. ასე რომ, ფაზისის აკადემიის ორივე საჩუქარი რაჭველი მეგობრებისადმი სიმბოლურია. მძღოლი იმერელი, მაგრამ რაჭველივით აუჩქარებელი კაცი ოლეგ ბოხუაა, ფოთის რკინიგზის სადგურის საკონტეინერო განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

გზადაგზა ვყვებით ამბებს კოლხეთის ისტორიიდან. ეს თემა აქამდე ტაბუდადებული იყო და ფაზისის აკადემიამ ყველაფერი გააკეთა მის მეცნიერულ დონეზე აღდგენისთვის. აკადემიას ხელმძღვანელობს მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, გაეროს ექსპერტი, ბატონი ცოტნე მირცხულავა. აკადემიამ გამოსცა ჟურნალი „ცოტნეიდელი“, სადაც თავმოყრილია უნიკალური მასალები კოლხეთის ისტორიაზე. სამწუხაროდ, ბოლო დროს სამეცნიერო თუ სასულიერო წიგნებში გაიჟღერა აზრთა სხვადასხვაობამ ფაზისის ისტორიული მდებარეობის საკითხზე. აკადემიამ ამას მიუძღვნა სამეცნიერო კონფერენცია ჯერ თბილისში, შემდეგ კოლხეთის მთიანეთში – რაჭაში თემაზე – **„ფაზისის ხეობა, ქართული სახელმწიფოებრიობის ასაკის ათვლის წერტილი და მხარეში ტურიზმის განვითარების პერსპექტივა“.** ეს სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. არგონავტების გზა, ასევე ფუსტის რაინდთა ნაკვალევი – ზემო სვანეთი-საჩხერემესტიის უძველესი გზა, არაფრით ჩამორჩება ამერიკელ-ინდიელთა გზას. ამასთან მიაქციეთ ყურადღება – ფაზისის (რიონისძ ხეობა (და არა ჭოროხისძ, რიონი ფასის მთიდან იღებს სათავეს, აქედანაა მისი ძველი სახელწოდებაც ფასისი – ფაზისი და ქალაქი ფაზისი მისი ადეკვატია. საერთოდ, იშვიათია ასეთი მდებარეობა, როგორც ფოთს-ფაზისს აქვს – მდინარეს, ტბასა და ზღვას შუა – ამას წერს სტრაბონი და ჰეროდოტეს რუკაზე ამ ადგილას ფაზისია აღნიშნული.

კიდევ ერთხელ გონების თვალით გადავავლე ფაზისის მისადგომებს, ხომ არაფერი შეცვლილა-მეთქი, მაგრამ სამივე გეოგრაფიული კომპონენტი ადგილზეა და არაფერ შუაშია ვანი, ყულევი, არქეოპოლისი თუ ბათუმი. სხვათა შორის, ახლა იწყება ფოთის აეროპორტის რეკონსტრუქცია და აქ ნაპოვნია ნაქალაქარის ნაშთები, ასევე პალიასტომში – ამფორები, სამკაულები და კარგ ამინდში მონადირეები ეკლესიის გუმბათსაც ხედავენ...

კოლხეთის და, კერძოდ, ფაზისის თემა ამოუწურავია. ფაზისის აკადემიასაც წინაც ბევრი სამუშაო ელის. ამ მხრივ უდიდესი წვლილი მიუძღვის აჭარის მკვიდრს, ნაღდ კოლხს, ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმის წევრს, პროფესორ რეზო პაპუაშვილს, ფოთის, ხობის, ყულევისა და სხვა არქეოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელს, რომელიც ამ დღეებში ხობის რაიონის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

მოვა დრო, ეს დიდი ტურისტული გზა დამშვენდება თანამედროვე ინფრასტრუქტურით, ისტორიის დაბრუნებით ინათებს კოლხეთის ცისკარი.

ასე მივუახლოვდით რეგიონალურ ცენტრს – ამბროლაურს. აქ გველოდება ჩვენი მასპინძელი ბრწყინვალე მეცნიერი, თავისი კუთხის ღირსეული შვილი, ღირსეული კოლხი მამა ავთანდილ გიორგობიანი, ფუსტიეთის სკოლა-მუზეუმის წინამძღვარი, რომლის ცხოვრების უმთავრესი მიზანია გაიდოს ხიდი წარსულსა და დღევანდელობას შორის, თვით საქართველოს კუთხეებს შორის. ამ პიროვნებაში ისეა ერთმანეთში შერწყმული სასულიერო და სამოქალაქო პოზიცია, ძნელია საზღვრის გავლება. ღმერთსაც და კაცსაც ერთნაირი მონდომებით ემსახურება.

საოცარი სითბო, პატივისცემა ვიგრძენით მასპინძლებისგან პირველი შეხვედრისთანავე. მამა ავთანდილი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის პირველ მოადგილესთან ალექსანდრე ქვათაძესთან შეგვიძღვა, ახალგაზრდა კაცია, ინტელექტითა და ზრდილობით სავსე. დავლგით ჩვენი „არგო“ და იმანაც გაშალა აფრები. აქვე განვათავსეთ ანდრია პირველწოდებულის ხატი. იგი ასლია იმ ხატისა, რომელიც სამების ტაძარშია დაბრძანებული. ავტორი ჩვენი მასპინძელი ავთანდილ გიორგობიანი გახლავთ. ამასობაში გუბერნატორი დავით გაგოშიძეც მობრძანდა. ხალასი გამომეტყველება, ნაღდი, კაცური, ფიზიკურად და სულიერად ულამაზესი კაცი. მოგვიანებით „ამბროლაურის მოამბის“ რედაქტორი, ქალბატონი დალი დარახველიძეც შემოგვიერთდა. ჩანს, რომ აქ ერთ საქმეს აკეთებენ. „დემოკრატიული კინკლავი“ არაა მათს ხასიათში.

მასპინძლებს ჩამოსვლის მიზანი **ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ გააცნო: ეს გახლავთ საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება კოლხეთის ისტორიისა და ტურისტული მარშრუტის საკითხებზე. გუბერნატორმა ყოველმხრივ მზადყოფნა გამოხატა საერთაშორისო კონფერენციის მაღალ დონეზე ჩასატარებლად.**

იქნებ, ბევრმა არ იცის, რომ არგონავტებამდე საქართველოში და, კერძოდ, რაჭაში, ეგვიპტელები იყვნენ. მათი პირამიდების მშენებლობა ლითონის მასალით აქაური საბადოებიდანაც მარაგდებოდა. ამდენად, საინტერესოა კაიროლების ისტორიული გზა. სხვათა შორის, ეგვიპტეში არის ქალაქი ონი, რაც მზის ქალაქს ნიშნავს. ხიხამთის არქეოლოგიური ძეგლი – „ნაეკლესიევი“ უძველესია, როგორც კოლხეთის მთავარი მზის ტაძარი, საიდანაც არგონავტებმა გაიტაცეს ცოდნის წიგნი, ანუ ოქროს საწმისი, ეს ორი უმთავრესი პროექტია ტურისტული მარშრუტისთვის.

ამ თემებზე საუბრის შემდეგ ამბროლაურის მუზეუმში გადავინაცვლეთ. მოგვიანებით კი ონს ვეწვიეთ, აქაური მუზეუმიც დაგვამახსოვრდა. როგორი ხალისით, სიამაყით ყვებიან კოლხურ წარსულზე, მასალები, რომლებიც იქაა თავმოყრილი, 10 მუზეუმს ეყოფა (ჩვენც გვარიანად მოგვამარაგეს გაზეთებით, ბროშურებითძ თითქოს ყოველი საგანი მეტყველებს კოლხურ ყოფაზე, სტუმარ-მასპინძლობაზე, სასმისებს ხომ ერთი კაცი ვერც აწევს. აქვეა თხილის მეტრიანი სიგანის უნიკალური მარცვლეულის შესანახი. სხვათა შორის, აქ ყოფილა მსოფლიოში განთქმული ხორბლის ჯიშები – მახა და ზანდური, ასევე ვაზის 300 უნიკალური სახეობა.

მამა ავთანდილს უამრავი მეცნიერული ნაშრომი მიუძღვნია კოლხეთის თემებისადმი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოკვლევა – **„სად იყო კოლხეთის უძველესი სულიერი ცენტრი“.** მეცნიერს მიაჩნია, რომ საკითხის სწორად დაყენებისათვის უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ ასტრალურ ღვთაებათა თაყვანისმცემელთა მკაცრი და პუნქტუალური კანონები. ამ გარემოებების გაუთვალისწინებლად ყველა მეცნიერული დასკვნა მცდარი იქნება. პირველი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ასტრალურ-თეოლოგიური კანონებით ქვეყნის ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე პროვინცია ცხადდებოდა ასტრალურ ღვთაებათა კუთვნილ სატაძრო ოლქად. ამის შესახებ მეტად საფუძვლიან ცნობას გვაწვდის I საუკუნეში მცხოვრები ბერძენი მოგზაური სტრაბონი, რომელიც აღწერს მთავარ სამლოცველო ოლქს კამბესინას (კამბეჩოვანსძ, ანუ დღევანდელ ქიზიყს...

გამყოფ ზღუდეს, რომელზედაც მზე ზენიტს აღწევდა, ძველქართულად ხირხალი ეწოდებოდა. სულხან-საბას ლექსიკონშიც ხირხარი არის გამყოფი ზღუდე. იგივე მნიშვნელობით ეს ტერმინი დღემდე შემორჩა ინგილოურ და ქიზიყურ დიალექტებს. მზის ცის გუმბათზე გამყოფი ზღუდის სახელიდან უნდა ვიგულისხმოთ სწორედ იმ მთის სახელიც, სადაც კოლხ მზის თაყვანისმცემელთა ტაძარი იდგა. ხიხამთა ე.ი. ხიხათა (ხირხალი) გამყოფს (ზღუდეს) ნიშნავს. მათი წარმოდგენით, ამ ადგილას მზე ჯერ აღმა მიჰყავს ფუნაგორიას და მერე კი დაღმა მოაგორებს. სწორედ ამ უძველესი რელიგიური მომენტის გამო ამ მთას ხიხამთა ჰქვია.

ცნობილი მკვლევარი ფრანც კიუმენი წარსულ რელიგიებს შორის მზის, ანუ „რას“ რელიგიას ყველაზე წიგნიერ რელიგიად მიიჩნევს. მეცნიერულად დადგენილია მწიგნობრობის ამოსავალი წიგნები: „ბიბლია“ – ქრისტიანებისთვის, „ყურანი“ – ისლამისათვის, „ავესტა“ – მზის თაყვანისმცემლებისათვის. „ავესტმა“ არა მარტო მზისადმი მიძღვნილ ლოცვებს შეიცავდა, არამედ მასში იწერებოდა კაცობრივი ცოდნის სხვა მიღწევებიც. მაგალითად, წამლების დამზადების საიდუ-



სოფელი ფუტიეთი, ფუსტელთა სკოლა-მუზეუმი.

ერის დამცველი ისტორია

# ოქროს საწმისი?

## სახელმწიფოებრიობის სათავე

*ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის საერთო ხედი. მის წინა კედელზე წარმოდგენილია 1819-1820 წ.წ. საეკლესიო აჯანყების ამსახველი პანორამა, ხოლო გვერდითზე — მედროშე ლომის (ლემის) დროშით და სამი წმინდანი. მიქაელ მთავარანგელოზი, წმ. გიორგი და წმ. იონა, რომელნიც ფუსტელთა მფარველნი იყვნენ.*



მლოებანი, ლითონის მიღების და დამზადების საიდუმლოებანი და სხვა. ბუნებრივია, „ავესტას" ინახავდნენ მზის, ანუ „რას" ტაძარში და მისით სარგებლობდნენ ქურუმები.

„ოქროს საწმისში" ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ სწორედ „ავესტა", რომელიც იმდროინდელი ცოდნის საიდუმლო წიგნიც იყო.

ბუნებრივია, ასეთი წიგნი არც მეფე აიეტის სასახლეში და არც რომელიმე ციხე-სიმაგრეში არ ინახებოდა, იგი მთავარ სამლოცველოში იდო. მთავარი სამლოცველო კი იმდროინდელ კოლხეთში, მზის რელიგიის კანონიკის თანახმად, უნდა ყოფილიყო სწორედ იქ, ხიხამთაზე. ხიხამთის უძველესი „ნაეკლესიავი", თავისი გარეგნული და გეოგრაფიული მდებარეობით სავსებით უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რასაც მზის რელიგიის კანონმდებლობა ითვალისწინებს.

როგორც ვხედავთ, ხიხამთის უძველესი „ნაეკლესიავი" უნდა წარმოადგინდეს კოლხეთის უძველესი და უპირველესი მზის, ანუ „რას" საკულტო სამლოცველოს, სადაც უნდა დებულიყო „ავესტა", ანუ „ოქროს საწმისი". ამ უძველესი საკულტო ადგილის ყველაზე ახლომდებარე დასახლებული პუნქტი არის სოფელი ფუტიეთი, ანუ ისტორიული ფუსტიეთი. ეჭვგარეშეა, ასეთ მნიშვნელოვან საკულტო ობიექტს სჭირდებოდა დაცვა და ამას აკეთებდა ის სამხედრო დასახლება, რომელიც სატაძრო ქონების დამცველი რაინდებით, ფუსტიელებით იყო დაკომპლექტებული.

ხაზგასასმელია ის, რომ „არგონავტიკაში" აღწერილი მოვლენები მთლიანად ფაზისის, ანუ დღევანდელი რიონის ხეობის გეოგრაფიულ არეალს არ სცილდება. ხიხამთის აღნიშნული „ნაეკლესიავით" ხომ რიონის ხეობაშია.

ამრიგად, თუ ბერძენ „არგონავტთა" ექსპედიციას ნამდვილად სურს, გაიმეოროს თავის შორეულ წინაპართა გზა, უნდა მივიდეს სწორედ იქ, სადაც იდგა კოლხთა უმთავრესი მზის — „რას" ტაძარი, რომელსაც იცავდა იქვე მდებარე ფუსტიელთა გარნიზონით დასახლებული პუნქტი, დღევანდელი სახელწოდებით ფუტიეთი, სადაც დაარსებულია ფუსტიელთა მუზეუმი. აღსანიშნავია, რომ ძველი აღქმა კოლხებს ფუტიელების სახელით იხსენიებს.

ათასწლეულების შემდეგაც უწევდა ქართველებს ბრძოლა რელიგიური სიმდიდრეების დასაცავად. მეტად საყურადღებოა ფუსტიელთა საეკლესიო აჯანყება.

რუსეთის მიერ XIX საუკუნეში ავტოკეფალიის გაუქმებამ, ფრესკების გადალესვამ, საეკლესიო ქონებისა და სიწმინდეების ხელყოფამ, ეკლესია-მონასტრების დიდი ნაწილის გაუქმებამ და ღირსეული სასულიერო პირების გამოდევნამ, ეპარქიების გაუქმებამ და, რაც მთავარია, ქართული ეროვნული სალვთისმეტყველო მეცნიერულ-ფილოსოფიური სწავლების ძირფესვიანმა მოსპობამ საფუძველი დაუდო ქართველი ერის სულიერ გენოციდს. ქართული ეროვნული სულიერი ღირებულებების დამცველები თავიდანვე აჯანყების ავანგარდში აღმოჩნდნენ. ფესტობის ძირითადი კერა, ისტორიულად, რაჭა-ლეჩხუმი-სვანეთი იყო. **1820 წლის გაზაფხულზე რუსეთის იმპერიის სადამსჯელო ძალები გადამწყვეტ იერიშზე გადმოვიდნენ, ვინაიდან ფუსტელმა რაინდებმა დიდძალი საეკლესიო განძი დააგროვეს და ჩვეული გზით სვანეთისაკენ დაძრეს გადასამალად. 1820 წლის 3 ივნისს ფუსტელთა მხედრობამ გმირული ბრძოლა გააჩაღა სოფელ ფუტიეთთან.**

**1819-1820 წ.წ. საეკლესიო აჯანყების ამბებს მთელი ორასი წელი უმკაცრესი ტაბუ ედო. უახლესი ისტორიის მანძილზე პირველად 1990 წლის 3 ივნისს სოფედ ფუტიეთში აღინიშნა ამ ტრაგიკული აჯანყების 170 წლისთავი, 2000 წელს კი — 180 წლისთავი.** ორსავე შემთხვევაში, ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან აქტივობა დიდი იყო. რაც შეეხება ეკლესიას, მან ამ თარილის ხმაურით აღნიშვნას, ორსავე შემთხვევაში, მკაცრი დუმილით უპასუხა.

**ეს იყო საქართველოს ისტორიაში ერთადერთი შემთხვევა, როდესაც დამპყრობლის წინააღმდეგ ომი ეკლესიამ გამოაცხადა. ეს იყო სულიერი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.** ამას მიტროპოლიტები — დოსითეოს ქუთათელი და ექვთიმე გაენათელი ხელმძღვანელობდნენ. ქართველებმა მოახერხეს 280 ჯორის საპალნე ოქრო-ვერცხლის სვანეთში გადამალვა, მაგრამ ეს ძალიან ძვირად დაუჯდათ. მარტო ბოლო ბრძოლაში, ფუტიეთთან, 2000-ზე მეტი რაჭველი, იმერელი და მთელი დასავლეთ საქართველოს წარმომადგენელი დაიღუპნენ. ეს იყო უსასტიკესი ხოცვა-ჟლეტა. საქართველოში ამ ფაქტის შესახებ ძალიან ცოტამ იცის.

ეროვნული მართლმადიდებლური ტრადიციების მილმა ბევრი უნიკალური ეროვნული სულიერ-კულტურული ღირებულებაა. ასეთთა შორის არის ფუსტობის ძველთაძველი ტრადიცია. ფუსტის ტრადიციას, ამას ძველი აღთქმაც გვიდასტურებს, ბიბლიური ნოეს შვილის ეთნარქ ფუტისაგან ეყრება საფუძველი პროტოქართველთა სამყაროში (ესაია 66-19). დავით აღმაშენებლის ეპოქაში, ქართველ გრაალის მცველთა, ანუ ფუ(ს)ტელთა სამხედრო-სარწმუნოებრივ ტიპიკონს გაეცნენ ევროპელი ჯვაროსნები და 1119 წელს, იერუსალიმში, მიბაძვით შექმნეს ფუ(ს)ტელთა მსგავსი ტამპლიერთა ორდენი. ეს ორდენი რომ ქართველ ფუ(ს)ტელთა მიბაძვით შეიქმნა, ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ ევროპელ რაინდს, კურთხევის ბოლოს, გადაეცემოდა სატიტულე მახვილი, რომელსაც „ფუსტაკი" ეწოდებოდა. სხვათა შორის, ისიც სათქმელია, რომ საქართველოს მთაშიაც ვადაჯვრიან ორლესულს „ფრანგული" ეწოდებოდა. როგორც ცნობილია, საქართველოში „ფრანგი" — კათოლიკობასაც აღნიშნავდა. ამრიგად, ეს ფაქტი ასაბუთებს, რომ ქართველ და ევროპელ ქრისტიანებს დავით აღმაშენებლის ეპოქაში მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა.

ფოთელებმა ფუტიელები ვერ მოვინახულეთ, მაგრამ ოქტომბერში აუცილებლად ავალთ, როცა საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება.

სტუმარი ღვთისაა — ქართველ კაცზე უკეთ ვინ უწყის ეს. ლამაზი რაჭული კარ-მიდამო, ღია აივანი კი არა, დიდი, მოლიავებული სადარბაზო, დიდი მაგიდით და გასაოცარი ხედებით (ეს ნამდვილად არ ჭირს აქ. რაჭული პურ-ღვინო (და არა პურ-მარილი! ასე იტყვიან აქ, ერთიც და მეორეც ქრისტეს ხორცთან და სისხლთან ასოცირდება. დიდებული მასპინძლები, დავით ბაკურაძე და მაყვალა კაციტაძე — ფაზისის აკადემიის რაჭის ორგანიზაციის წევრები, ბრწყინვალე თამადა მამა ავთანდილი და ღვინოზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი — ხვანჭკარა. ოჯახის დიასახლისმა თავისი ლექსები წაგვიკითხა, საიდან ასეთი ლიტერატურული ცოდნა? თუმცა, ჯერ კიდევ როდის გვქონდა ფაზისის აკადემია, ბერძენ ფილოსოფოსებს რომ ვასწავლიდით (ქართველები ვერ გავზარდეთ თორემ!.

დავცილდით ერთმანეთს მომავალი შეხვედრის უდიდესი სურვილით, აქეთობას ნიკორწმინდაში ვილოცეთ და გალაკტიონის გენიალური ლექსიც გაცოცხლდა.

*ასე დასრულდა ჩვენი მგზავრობა არგონავტების ნაკვალევზე. დაე, დიოსკურიები — მოგზაურთა მფარველი ღმერთი იცავდეს აქაურობას. თუმცა, დღეს ისეთი არაფერი შეგვიქმნია მოსატაცებელი, წასართმევი. არადა, ოქროს საწმისი იმ დროისთვის ისეთი სიახლე იყო მსოფლიოსთვის, როგორც ატომის აღმოჩენა XX საუკუნეში.*

*მოგვძახოდა უკვდავი ათასწლეულების ხმა. მზე თითქოს შუბის ტარს გასცდენოდა და ხიხას მთას ადგა, ისე როგორც საუკუნეების წინათ, არგონავტების სტუმრობისას.*

*უკან მოვუყვებით რიონს ფაზისისკენ — კოლხური ლეგენდის მარადიული მდინარების მაგისტრალს!*

**ზურაბ აბრალავა,**
„სრ" საკ. კორ.
ფოთი-ამბროლაური-ონი-ფოთი

ინფორმაცია

### ცხინვალში გაზის მილი აფეთქდა

**ე. წ. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქში ბუნებრივი აირის მილი აფეთქდა. წინასწარი მონაცემებით, მსხვერპლი არ არის.**

**როგორც დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის შსს იუწყება, ცხინვალის ერთ-ერთ ცენტრალურ — პუშკინის ქუჩაზე ბუნებრივი აირის მილი აფეთქდა.**

**აფეთქების მიზეზი უცნობია. გვერდით სახლებში აფეთქებამ შუშები ჩაამსხვრია.**

„ექსპრესნიუსი"

### საოკუპაციო ჯარებს აფხაზეთიდან ეროვნული სიმდიდრეები გააქვთ

**რუსეთის საოკუპაციო ჯარებს აფხაზეთიდან ეროვნული სიმდიდრეები გააქვთ. ამის შესახებ სპეციალურ განცხადებას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.**

**— რუსეთის საოკუპაციო ჯარების ზედამხედველობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან, კერძოდ აფხაზეთიდან ხორციელდება ეროვნული სიმდიდრეების ძარცვა, მათ შორის ეკოლოგიური უსაფრთხოების მოთხოვნების სრული უგულებელყოფით მიმდინარეობს სოჭის ოლიმპიადის ობიექტების მშენებლობისთვის ინერტული მასალების ამოღება, ტყეების განადგურება და სხვა, რამაც შეიძლება ეს შავიზღვისპირა რეგიონი ეკოლოგიურ კატასტროფამდე მიიყვანოს. რუსეთის მხარეც ვერ მალავს იმ ფაქტს, რომ მისი მოქმედებების შედეგად გამოწვეულმა ეკოლოგიურმა ზარალმა ფართო და საგანგაშო მასშტაბები მიიღო, — ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების განცხადებაში.**

**ამასთან, მასში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაცია ჩრდილოეთ კავკასიაში ეკოლოგიური დერეფნის შექმნას გეგმავს.**

**საქართველო მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობასა და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს მიიღონ სათანადო ზომები საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მიტაცების მცდელობის აღსაკვეთად და მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად.**

ჯი-ეიჩ-ენი

დღესასწაული

# ცოცხნეობა ხობში

**წვიმიანი ამინდის მიუხედავად, ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერში და მის ულამაზეს შემოგარენში იმ დღეს უამრავი ხალხი შეიკრიბა. ფაზისისა და ხობის მიტროპოლიტმა, მეუფე გრიგოლმა წმინდანის ცოტნე აღმსარებლის სადიდებელი ლოცვანი აღავლინა. ლიტურგიაზე იყვნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული საეკლესიო მეთაურები, სტუმრები.**

სიმბოლურია, რომ 12 აგვისტოს ერთდროულად აღინიშნება „დიდგორობა" და „ცოტნეობა" — უდიდესი საეკლესიო-საერო დღესასწაულები — დღესასწაულები წმინდანებისა და ეროვნული გმირებისა, როგორც ნიშანსვეტი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სულიერი ერთიანობისა. ქვეყნის კრიზისიდან გამოსავალი ღვთიურობის და ეროვნული სულისკვეთების ერთიანობა და განუყოფლობაა. „სამშობლო როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა". თუმცა პარტია ბევრია და მათ უნდა შევახსენოთ, რომ ქვეყანა ერთია თავისი ტკივილი-საწუხარით. ხობის რაიონში ასეთი ერთიანი სულისკვეთება კარგა ხანია არ მიგრძვნია და, საბედნიეროდ, ეს იყო წლევანდელი აგვისტოს „ცოტნეობაზე".

დღესასწაულის შემდეგ გაიმართა დიდი ლიტერატურულ-თეატრალიზებული სანახაობა, რომელშიც ასევე სენაკის თეატრის მსახიობებიც მონაწილეობდნენ.

ღონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა ხობის გამგებელმა იგორ ტყებუჩავამ. დამსწრეთ სიტყვით მიმართა ხობის საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ. ფაზისის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ნუგზარ ნადარაიამ საეკლესიო-საერო დღესასწაულის მონაწილეთ ტრადიციულად წარუდგინა ფაზისის აკადემიის პრეზიდიუმის



წინადადება ხობის საპატიო მოქალაქეების არჩევასთან დაკავშირებით და გააცნო მათი დამსახურება.

ხობის რაიონის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს არქეოლოგი, პროფესორი **რეზო პაპუაშვილი.** სათანადო სიგელები გადაეცათ აგრეთვე **დარეჯან კვარაცხელიას, რუსლან რუსიას, ზურაბ აბრალავას, გოგიტა ჩიტაიას, ალეკო დოლბაიას.**

ცოტნეიდელებს მიესალმნენ და თავიანთი ლექსები წაიკითხეს ცნობილმა პოეტმა ვაჟა ეგრისელმა და ლუიზა ჩხეტიამ. ფოთელმა კომპოზიტორმა ლეილა ლოლუამ და მომღერალმა ნანი გუგუშვილმა შეასრულეს ბრწყინვალე სიმღერა „დადეთ იარაღი, ბიჭებო!".

ეს იყო ერთიანობის, რწმენისა და სიყვარულის ზეიმი, დღესასწაული ეროვნული სულის უკვდავებაზე, რომელიც მუდამ შენთან არის.

**ცოტნე ოდიშელი.**

გლობუსი

# დემოკრატიის საბაბით...

## ჭამეთ და ჭამეთ, ნაცებო, ამერიკული „კიტრი“...



**სახელგანთქმული ამერიკელი პოლიტოლოგი, ექსპერტი, მეცნიერი და ჟურნალისტი უოლტერ ლიპმანი წერდა: „იძულება მორჩილებისათვის დემოკრატიის გაჩენისთანავე უნდა გამქრალიყო, მაგრამ ის არ გამქრალა, სინამდვილეში გაცილებით დაიხვეწა პროპაგანდის ხელშეწყობით. დღეს ძნელია დარწმუნდე დემოკრატიის საწყისი პრინციპების სიკეთეებში“.** დემოკრატიით იმედგაცრუებული ლიპმანის სიტყვები შეესატყვისებოდა იმჟამინდელ პოლიტიკურ პროცესებს. ლიპმანი 1974 წელს გარდაიცვალა. მის აღფრთოვანებას საზღვარი არ ექნებოდა თანამედროვე ამერიკელი პოლიტიკოსების, მეტადრე უმცროსი ბუშის ოინებს რომ მოსწრებოდა, ლიპმანი გაოცდებოდა კიდევაც იმ უდიდესი არტისტიზმით, რითაც ბუში სათავისოდ იყენებდა დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების დაცვას. ბუშისა და მას აყოლილი პოლიტიკოსების თვალთმაქცური ეკვილიბრისტიკის მთავარი მიზანი იყო „დემოკრატიით და ადამიანის უფლებების დაცვით“ მსოფლიო ჰეგემონიის განმტკიცება. დემოკრატია იყო წინა პლანზე, როდესაც ბუშის ამერიკამ არნახული შეტევა მიიტანა რუსეთზე პოსტსაბჭოთა სივრცეში ფერად-ყვავილოვანი რევოლუციების სახით. საქართველოში, უკრაინაში, ყირგიზეთში მომხდარი სახალხო აჯანყება „დემოკრატიული არჩევნების“ ლოზუნგით იყო ზურგგამაგრებული. სხვა ლოზუნგი იყო, მაგრამ „დემოკრატიული“, ყოფილ იუგოსლავიაში, უზბეკეთში, სხვაგან. ტერორიზმთან ბრძოლისა და დემოკრატიულ საზოგადოებად გარდაქმნის ლოზუნგები ედო საფუძვლად ავღანეთისა და ერაყის ომებს, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში დამოკლეს მახვილივით ეკიდება არა მარტო აშშ-ს, არამედ მთელი მსოფლიოს თავზე. დემოკრატიის დასამყარებლად ტარდება არჩევნები ერაყსა და ავღანეთში, პალესტინის ავტონომიაში, მაგრამ თუ დემოკრატიულ არჩევნებს სათავეში მოჰყავს ამერიკელთათვის მიუღებელი ხელისუფლება, რასაც ადგილი ჰქონდა პალესტინაში ჰამასის სახით. მაშინ ჩატარებულ მართლაცდა დემოკრატიულ არჩევნებს ვაშინგტონი არაფრად თვლის. პოლიტიკური ვაშინგტონის მიერ არჩევნებთან დაკავშირებით სიტყვა „დემოკრატიის“ ათასფრად მანიპულირება საკუთარ თავზე გამოსცადა საქართველოს მოსახლეობამ, როდესაც 2008 წლის გაყალბებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები დემოკრატიის ზეობად შეაფასა. **„ტოპ დემოკრატიად“ უნდა ჩაითვალოს სამხრეთ ოსეთიდან ლტოლვილ ბავშვთა დარიგება – თქვენ პრეზიდენტს დაემსგავსეთო, მაშინ, როდესაც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს სააკაშვილის ხსენებაზე ტანში ცუდად აჟრიალებს.** ბაიდენისეულ „დემოკრატიას“ საქართველოსთვის სხვა დატვირთვა აქვს, რომელიც შესანიშნავად შეესაბამება ქართულ უხამს გამოთქმას – ეს ჩემი ასო კიტრია და უნდა ჭამოო. მკითხველს ბოდიშს მოვუხდი ხალხური სკრუპულოზური ფოლკლორის გამოყენებისთვის, მაგრამ რა გაეწყობა, სინამდვილემ მიკარნახა. სამწუხაროდ, ბაიდენი და მისი კოლეგები მრავალი წლის განმავლობაში ამ „კიტრს“ გვაჭმევს, ჩვენ უსიამოვნოდ მიგვირთმევთ. ქართველები, რომ არ გაგვულისდნენ იმასაც ვიტყვი, რომ ჩვენს გარდა ასეთი „კიტრით“ ამერიკა ლამის მთელ მსოფლიოს კვებავს, თუმცა არიან გამონაკლისებიც, საკუთარ თავში დარწმუნებული ქვეყნები. **მათ შორის მოწინავე არის მოსახსენიებელი შოტლანდიელები და მათი ხელისუფლება, რომელმაც მიუხედავად პრეზიდენტ ობამას ზეწოლისა, თითქმის ათწლიანი პატიმრობიდან გაათავისუფლა ამერიკული თვითმფრინავის ამფეთქებელი ლიბიელი ტერორისტი და სამშობლოს გადასცა. არც ირლანდიაა დასავიწყებელი, რომელმაც ეროვნული მოსაზრებიდან გამომდინარე არ გაიზიარა ევროკავშირის წევრი ქვეყნების ხვეწნა-მუდარა და უარი უთხრა ევროკონსტიტუციას. სხვა მაგალითების მოყვანაც შეიძლება, მაგრამ ამ ორის მაგალითი მეტყველებს საკუთარი ინტერესების დაცვის პრიორიტეტულობაზე, რაც სამწუხაროდ არ გვახასიათებს.**

დემოკრატიის საბურველით იწყება ომები და იცვლება ვაშინგტონისთვის მიუღებელი მთავრობები. დემოკრატიის საბურველით ტარდება არჩევნები, ისეთი, რასაც ადგილი ჰქონდა ერაყსა და ავღანეთში. ცინიზმის ზენიტად შეიძლება ჩაითვალოს ავღანეთში ჩატარებული „საყოველთაო არჩევნები“. ამერიკული ტელეკომპანიები 24-საათიან რეჟიმში გადასცემდნენ ავღანეთის წინასაარჩევნო „კამპანიასა“ და არჩევნებს. ყუმბარების აფეთქებისა და ტყვიის ზუზუნის ფონზე ჩატარებული არჩევნების რაობა ყველასთვის ნათელია, მაგრამ თავის მართლებისათვის მას აქვს მნიშვნელობა.

**სიტყვის მასალადაც არ შეიძლება ჩაითვალოს ავღანური „არჩევნები“, არჩევნებად, მით უმეტეს დემოკრატიულად. ავღანეთი ტალიბთა გარეშეც ისე შორსაა დემოკრატიისაგან, როგორც პლანეტა მარსიდან. ტელეკომპანია ბი-ბი-სის კორესპონდენტის განცხადებით, ნატოსა და აშშ-ს მრავალწლიანი ძალისხმევის მიუხედავად, ავღანეთში წინსვლის ნაცვლად, უკანსვლა იგრძნობა. მილიარდობით დოლარი შთანთქა 8 წლის განმავლობაში ავღანეთის ე. წ. ხელისუფლებამ და სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებათა ლიდერებმა. არც ხალხს და არც ქვეყანას ეს ფული არ უგრძვნია. ობამას ადმინისტრაციამ სწორედ კარზაი და მისი ქაბულის ხელისუფლება ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვების გარეშე კორუმპირებულად აღიარა და მოუწოდა გარდაქმნებისაკენ, თუმცა ეს არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე იყო. მოგვიანებით, ვითარება შეიცვალა და ვაშინგტონმა ისევ დაუჭირა მხარი კორუმპირებულ კარზაის – პრინციპით – კორუმპირებულია, მაგრამ ისევ ჩვენი კორუმპირებულია.** ვაშინგტონს აწყობს კარზაი და რახან აწყობს იტყვის კიდევაც „დემოკრატიულად ჩატარებულ არჩევნებზე“. უკეთესი მდგომარეობა არც „დემოკრატიულ“ ერაყშია. გასულ კვირას ბაღდადის ყველაზე დაცულ სამთავრობო ზონაში, ექვს ადგილას ერთდროული აფეთქების შედეგად 95 ადამიანი დაიღუპა და 100-ზე მეტი დაშავდა. ერაყის „დემოკრატია“ არაერთხელ შეახსენებს მსოფლიოს თავს. ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ღრმად ჩახედული სპეციალისტების მიხედვით ამერიკელთა მიერ ექსპორტირებულ დემოკრატიას გაცილებით სჯობდა სადამ ჰუსეინის წესრიგი და დიქტატურა. „დემოკრატიული“ ერაყი ლამის დაშლა-დაქუცმაცების პირას არის მისული და არავინ იცის რა შეიძლება მოჰყვეს ამ პროცესს.

ამერიკული დემოკრატიის ნაყოფს იმკის უკრაინის მოსახლეობა. ექსპერტების აზრით, პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს ქვეყანა არაფრით ჩამოუვარდება ავღანეთს. ერთია, რომ უკრაინაში არ ისვრიან. მრავალწლიანმა პოლიტიკურმა ჭიდილმა გამოფიტა უკრაინა და მისი ეკონომიკა ლამის ნულამდე დაიყვანა. დასავლეთში უკრაინის ხსენებაზე უმალ „ფეილდ სტეიტსაც“ აყოლებენ, რაც არშემდგარს ნიშნავს. უკრაინელმა პოლიტიკოსებმა „დემოკრატიულობისათვის“ ბრძოლაში დაივიწყეს მთავარი – საკუთარი სახელმწიფოს მოთხოვნები. ამას წინათ ოკეანედალეულმა იუშჩენკომ რუსეთისთვის „გულდასაწყვეტი“ მოსაზრება გაახმოვანა – თუ ასე გააგრძელებს მოსკოვი, დსთ-დან გამოსვლაზე ვიფიქრებთო. როგორც ჩანს, იუშჩენკოს თვალში მოუვიდა მეგობარი სააკაშვილის გადაწყვეტილება დსთ-დან გამოსვლის თაობაზე და ორ პროცენტამდე დაცემული რეიტინგის გამოსასწორებლად „პატრიოტულ“ ხერხს მიმართა, რამეთუ ნებისმიერი ანტირუსული ნაბიჯი უკრაინა-საქართველოს „დემოკრატიულ“ ხელისუფალთა მხრივ პატრიოტულად აღიქმება. მეგობარმა მეგობარს დახმარების ხელი უნდა გაუწოდოს. ჰოდა, იუშჩენკოც უწევს სააკაშვილს დახმარებას, თუმცა ერთია, მოასწრებს კი წლის ბოლომდე ამას? მომავალი წლის იანვრის შემდეგ იუშჩენკოს სიტყვას აზრი და ძალა აღარ ექნება, ვინაიდან მისი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება აბსტრაქციასთან უფრო ახლოა, ვიდრე რეალობასთან.

„თუ რომელიმე ერი ისწრაფვის დომინირება მოახდინოს მეორეზე, ის ყოველთვის წააწყდება უკურეაქციას“, წერს აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი. ეს ჭეშმარიტება დამტკიცებას არ საჭიროებს, ამდენად ოფიციალური ამერიკა სისტემატურად იყენებს შემოვლით გზებს, რომელშიც ძირითადად აქცენტი საკუთარ „სან ოვ ბიჩობაზე“ (მეძავის შვილობაზეძ კეთდება. გამოთქმა შეურაცხმყოფელია, მაგრამ პოლიტიკაში მიღებული, ზოგჯერ „საპატიოც“, ყოველ შემთხვევაში ქართულ ხელისუფლება-ოპოზიციას ასე ჰგონია. ორივენი თავდავიწყებით იღვწიან ტიტულის მიღებისათვის, თუნდაც პანჩურის ამომრტყმელი ბიჭის როლის შესრულებისათვის. მკითხველს ემახსოვრება სკოლაში მაღალკლასელები, რომ დაბალკლასელ ბიჭებს აქეზებდნენ – იმას პანჩური ამოარტყი, ნუ შეგეშინდება, ჩვენ აქ ვართო. ჩვენდა სავალალოდ ვაშინგტონმა ერთ დროს სიამაყითა და კდემამოსილებით განმსჭვალულ ერს მსგავსი პრიმიტიული და შეურაცხმყოფელი ფუნქცია დააკისრა, თანაც დახმარების გარეშე. დასტურად, გასული წლის აგვისტოც კმარა. ამოვარტყით დიდ მეზობელს პანჩური და ისეთი დარტყმა მივიღეთ საშვილიშვილოდ, რომ არ დაგვავიწყდება, რაც შეეხება დაპირებულ დახმარებას? ცხადია იყო – ტუალეტის ქაღალდის სახით. მაინც სხვა ხიბლი აქვს ამერიკული სამხედრო გემებით ჩამოტანილ ტუალეტის ქაღალდს, განსაკუთრებით შიშით კუჭაშლილი ხელისუფალთათვის. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ხელისუფლებამ ამერიკული დემოკრატიის წყალობით თვალებში გამოიხედა და უფრო შემართებით შეუდგა საკუთარი საქმის კეთებას, რაც მთავარია, დემოკრატიული ამერიკის დემოკრატიული სტრატეგიული პარტნიორის როლის შესრულებას. **„რა სტრატეგიულ პარტნიორობაზეა ლაპარაკი, როდესაც ერთ ქვეყანაში ცხოვრობს 100 მილიონზე მეტი ადამიანი, მეორეში კი თითზე ჩამოსათვლელი, როდესაც ერთის ეკონომიკა ტრილიონებით იზომება, მეორის წლიური ეროვნული პროდუქტი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რომელიმე ფირმის“, – წერს მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. ჯექსონი.** მსგავს პარტნიორობაში პატარის დიდისადმი მორჩილება უეჭველია. ბუშის ადმინისტრაციის მიერ ერაყის წინააღმდეგ წამოწყებული ომი მსოფლიო პოლიტიკურ წრეებში უაღრესად უარყოფითად ფასდება. საზოგადოების კატეგორიული მოთხოვნით დიდი ბრიტანეთის მთავრობამ შექმნა კომისია, რომელმაც უნდა გამოიძიოს წინა პრემიერ-მინისტრის უყოყმანო მხარდაჭერა ბუშის ადმინისტრაციისათვის რამდენად შეესაბამებოდა სახელმწიფო ინტერესებს. ისე არ მოხდეს ბუშის მიერ შეცდომაში შეყვანილ ერაყის ომის მოკავშირეებს, დღემდე რომ თავი გმირებად მოაქვთ, პასუხი აგებინონ. ჩემი სუბიექტური აზრით მცდარი იყო, როგორც შევარდნაძის ისე სააკაშვილის გადაწყვეტილება ერაყში ქართველთა საომრად გაგზავნის თაობაზე. მცდარია არა მარტო ავღანეთში ქართველი მეომრების გაგზავნა, არამედ გუანტანამოელი ტერორისტების საქართველოში მიღება. გუანტანამოს ისტორიით შეწუხებული ამერიკელები დაბეჯითებით მოითხოვენ უკანონო ციხის დახურვას და ტერორიზმში ეჭვმიტანილების ამერიკიდან გაყვანას. საქართველოს ხელისუფლება მზადაა შეასრულოს „სტრატეგიული“ პარტნიორის როლი და მიიღოს გუანტანამოელები, რაც ხაზგასმით მიუთითებს ქვეყნის ხელისუფალთა – „სან ოვ ბიჩობაზე“. საკუთარი სკამის გადარჩენისათვის ხელისუფლება მზად არის ფიანდაზად გაეგოს ვაშინგტონს. შორს არ არის ის დღეც, როდესაც „დემოკრატიული“ საქართველოს დაბეჯითებული მოთხოვნით აშშ სამხედრო ბაზებს გახსნის საქართველოში.

„რა სტრატეგიულ პარტნიორობაზეა ლაპარაკი, როდესაც ერთ ქვეყანაში ცხოვრობს 100 მილიონზე მეტი ადამიანი, მეორეში კი თითზე ჩამოსათვლელი, როდესაც ერთის ეკონომიკა ტრილიონებით იზომება, მეორის წლიური ეროვნული პროდუქტი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რომელიმე ფირმის“, – წერს მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ. ჯექსონი.

**საქართველო რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეში იმყოფება, სადაც უცხო არ არის ტერორისტული გამოხდომები, მუსლიმანური ფუნდამენტალიზმი. ხელისუფლება საკუთარი დაუფიქრებელი გადაწყვეტილებებით მაგნიტივით იზიდავს მათ ყურადღებას. მხოლოდ უფლის წყალობით დღემდე ადგილი არ აქვს ტერორიზმის გამოვლინებას, მაგრამ ამერიკელთა მიერ წამოწყებულ სამხედრო აქციებში მონაწილეობა ნოყიერ ნიადაგს ქმნის ამისათვის.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

ქ. თბილისის სსიპ. №19 საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით გაფორმებული სკოლის შენობის ფართების იჯარის ფორმით გასაცემად:
1. 400 კვ. მ. – სკოლის შენობის III სართული.
2. 300 კვ.მ. დარბაზები. – დღის II ნახევარში ქორეოგრაფიული და სპორტული ჯგუფებისთვის (საათობრივი გაანგარიშებით 1 კვ.მ. საწყისი საკონკურსო ფასია 3 დოლარის ეკვივალენტი ლარებში.
განცხადებების მიღება იწარმოებს გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში №19 სკოლის დირექციაში.
დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: ქ. თბილისი, ქუთაისის ქუჩა №20. ტელ: 897 933 672, 898 250 038.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76. ახვლედიანის 19

### განცხადება

შპს „ენერგიის“ გაკოტრების საქმის წარმოების შესაბამისად განმეორებით ცხადდება აუქციონი, რომელზედაც გამოტანილი იქნება შპს „ენერგიის“ ქონება.
საწყისი ფასი 800 000 ლარი.
აუქციონი გაიმართება ქ. წყალტუბოს სასამართლოს შენობაში (მისამართი წყალტუბო, რუსთაველის ქ. №12ძ. 2009 წლის 26 სექტემბერს დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ გაკოტრების მმართველთან ტ: 899-23-48-33.

შპს „კლინიკა ნიუმედის“ ადმინისტრაცია იუწყება, რომ პარტნიორთა, 20.07.2009 წ. კრების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ხორციელდება შპს „კლინიკა ნიუმედის“ (ს/№206334162დ რეორგანიზაცია. კერძოდ საზოგადოებას გამოეყოფა შპს „სამედიცინო ინოვაციების ცენტრი“. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართონ მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა ჩოლოყაშვილის I კვ. კორპ. 1, ბ. 45, ტელ: 728949.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ტიმოშენკო — პუტინს: ჩვენ კავკასიაში არ გვიომია

**უკრაინაში ოფიციალურ დონეზე გადაწყვიტეს არ მიაქციონ ყურადღება რუსეთის ფედერაციასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის განცხადებას უკრაინის სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობის შესახებ შარშანდელ საბრძოლო მოქმედებებში კავკასიაში. დამადასტურებელ მასალათა უქონლობის გამო პოლიტიკოსები უარს ამბობენ საჯარო კომენტარებზე.**

მათ მიაჩნიათ, რომ მოსკოვი აგრძელებს უკრაინისა და მისი პრეზიდენტის იუშჩენკოს წინააღმდეგ ინფორმაციულ ომს, რომელიც არ დამთავრდება პრეზიდენტის არჩევნების დღეს.

ორშაბათს საგამოძიებო კომიტეტმა განაცხადა დამადასტურებელი მასალების შესახებ და აღნიშნა, რომ საქართველოს სამხედრო შეიარაღებულ აგრესიაში სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ მონაწილეობას ღებულობდნენ უკრაინის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები, აგრეთვე „უკრაინის ნაციონალისტური ორგანიზაციის უნა-უნსოს არანაკლებ 200 წევრი".

სპეციალურ ანგარიშში აღნიშნულია აგრეთვე, რომ საქართველოს ჯარები იყენებდნენ უკრაინულ იარაღს: „... ხელში ჩაიგდეს სარაკეტო საზენიტო კომპლექსები, რომლებსაც აქვთ უკრაინის მარკირება".

უფრო ადრე ვიქტორ იუშჩენკოსადმი გაგზავნილ მიმართვაში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა აგრეთვე აღნიშნა თბილისისთვის უკრაინული იარაღის მიწოდების შესახებ: „სამხრეთ ოსეთში ტრაგიკული მოვლენებიდან ერთი წლის შემდეგ კვლავ მწვავედ დგება საკითხი იმის შესახებ, რომ მშვიდობიან მცხოვრებლებს და რუსეთის სამშვიდობოებს ცხინვალში ხოცავდნენ უკრაინული იარაღით. ისინი კიევში, ვინც აწოდებდა საქართველოს არმიას შეიარაღებას და, სხვათა შორის, ახლაც არ აპირებს ამის შეწყვეტას, მთლიანად იზიარებენ თბილისთან ერთად პასუხისმგებლობას ჩადენილ დანაშაულობებზე". პასუხად იუშჩენკომ აღიარა საქართველოსთან იარაღით ვაჭრობის ფაქტი, მაგრამ ბრალდებას უკრაინის მისამართით უსაფუძვლო უწოდა: „უნდა შეგახსენოთ, რომ საქართველო არ იყო და ამჟამადაც არ არის საერთაშორისო სანქციების ან ემბარგოს ობიექტი იარაღის მიწოდებაზე".

ახალმა ბრალდებებმა კონფლიქტი სხვა დონეზე გაიყვანა. შეიარაღებულ კონფლიქტში მესამე ქვეყანაში მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციების სანქციის გარეშე დანაშაულია. მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაქტი დადასტურდა. ხმების დონეზე საკითხი უკრაინის სამხედრო მოსამსახურეებისა და მოქალაქეების მონაწილეობის შესახებ რუსეთის წინააღმდეგ განიხილებოდა ჯერ კიდევ შარშან. მაგრამ უკრაინის ხელისუფლებამ კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია. ამჟამად უკრაინის გენერალური შტაბის პრესსამსახურის უფროსმა სერგეი კუზნინმა ბი-ბი-სის რადიოს განუცხადა: „ეს პროპაგანდაა. ჩვენი სამხედრო ნაწილები იქ არ ყოფილან".

უკრაინის თავდაცვის სამინისტროში დაგვარწმუნეს, რომ ამასთან დაკავშირებით არავითარი ახალი მონაცემები არ არის და არც შეიძლება, რომ იყოს. „როგორც გაცნობებდით, კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდა უკრაინის ხუთი სამხედრო მეთვალყურიდან ორი, კიდევ სამი კაცი შვებულებაში იყო. არც ერთი ჩვენი ჯარისკაცი, მფრინავი, ინსტრუქტორი არ ყოფილა. რაც შეეხება სამოქალაქო პირებს, შეეკითხეთ საგარეო საქმეთა სამინისტროს", — განაცხადა თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელმა მაქსიმ პრაუტამ. საგარეო-პოლიტიკურ უწყებაში, როგორც ერთი წლის წინათ, არ იციან უკრაინელ მოქალაქეთა ზუსტი რაოდენობა, რომლებიც იმყოფებოდნენ საქართველოში საბრძოლო მოქმედებათა მომენტში. „უვიზო რეჟიმი და მოქალაქეთა გადაადგილების რეგისტრაციის არასრულყოფილი პროცედურა არ გვაძლევს საშუალებას კონტროლი გავუწიოთ სიტუაციას. თავის მხრივ, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო სთხოვდა მოქალაქეებს, თავი შეეკავებინათ კონფლიქტის ზონაში გამგზავრებისგან", — განაცხადა უწყების წარმომადგენელმა.

რაზუმკოვის სახელობის საერთაშორისო პროგრამების ცენტრის ხელმძღვანელმა ვალერი ჩალიმ აღნიშნა, რომ შეიქმნა უცნაური სიტუაცია: ბრალდება უკრაინის მისამართით გაისმის უკვე ერთი წელიწადია, დამადასტურებელი მასალები კი ჯერჯერობით არც წარმოუდგენიათ. „გასაოცარია, რომ გამოძიება ჯერ არ დამთავრებულა, საგამოძიებო კომიტეტი მოულოდნელად გამოდის განცხადებებით, რომელიც გამოძიების საიდუმლოებას შეეხება. ჩემი აზრით, ეს მოწმობს პოლიტიკურ და არა იურიდიულ შეფერილობაზე თავად განცხადებისა", — განაცხადა ექსპერტმა. იგი არ გამორიცხავს, რომ რუსეთის პროკურატურა ამაგრებს განცხადებას არგუმენტებით, ადრე მედვედევის იუშჩენკოსადმი გაგზავნილ მიმართვაში რომ იყო. ჩალის მიაჩნია, რომ რუსეთელთა უკრაინისა და უკრაინელებისადმი ურთიერთობის გეგმაზომიერი გაუარესება, რაც უკვე დარეგისტრირებულია სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებში, არ დამთავრდება პრეზიდენტის არჩევნების დამთავრებით. რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ხელმძღვანელი ბრიტანეთის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში ჯეიმს შერი ბი-ბი-სისთვის მიცემულ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ პერსპექტივაში რუსეთის მოქმედება საფრთხეს უქმნის უკრაინის დამოუკიდებლობას.

იუშჩენკოს გარემოცვის წარმომადგენლებმა გვაცნობეს, რომ ხედავენ სიტუაციის გამოსავალს მხოლოდ სრულმასშტაბიანი მოლაპარაკების ორგანიზაციაში უმაღლეს დონეზე. გასულ კვირას მედვედევთან შეხვედრის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის წინადადება უპასუხოდ დარჩა. იულია ტიმოშენკოს თანამებრძოლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ უკრაინის სამხედროების მონაწილეობის შესახებ კავკასიის ომში პრემიერს იგივე აზრი აქვს, რაც სახელმწიფოს მეთაურს: არავითარი მსგავსი არ ყოფილა, რუსეთის მხარის ბრალდება კი პოლიტიკური ხასიათისაა. საკითხისთვის საბოლოო პასუხის გაცემას ტიმოშენკო აპირებს პირველ სექტემბერს ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის დროს პოლონეთში.

**ტატიანა ივჟენკო**

НЕЗАВИСИМАЯ



# სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავენ

**სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი აღნიშნავენ რუსეთის მიერ რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარების წლისთავს.**

ბრძანებულებას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის აღიარების შესახებ პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხელი მოაწერა ქართული აგრესიის მოგერიების შემდეგ.

8 აგვისტოს საქართველოს ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს ცხინვალს. მოსკოვი დადგა სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად, რომელთაგან ბევრი რუსეთის მოქალაქეა. დაიწყო ოპერაცია, რათა აეძულებინათ საქართველო შეეწყვიტა ომი. ამ პერიოდში აფხაზეთმა გამოდევნა საქართველოს ჯარები კოდორის ხეობის ზედა ნაწილიდან. მოსკოვის მაგალითს ჯერჯერობით მიბაძა მხოლოდ ერთმა ქვეყანამ — ნიკარაგუამ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების პასუხად თბილისმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა მოსკოვთან, ორი ამიერკავკასიის ორი რესპუბლიკა გამოაცხადა ოკუპირებულ ტერიტორიად და გამოვიდა დსთ-ს შემადგენლობიდან.

მოსკოვმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა სოხუმთან და ცხინვალთან, დადო მათთან შეთანხმება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ და შეუთანხმდა საზღვრის ერთობლივი დაცვის შესახებ. ამჟამად აფხაზეთის საზღვარს საქართველოსთან იცავს დაახლოებით 1000 რუსი მესაზღვრე, სამხრეთ ოსეთისას — 800 სამხედრო მოსამსახურე. წლის ბოლოსთვის, მესაზღვრეების გარდა ამ რესპუბლიკებში, მოლაპარაკების თანახმად, იქნებიან 1,5 ათასი რუსი სამხედრო თითოეულში. როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, ამ მომენტისთვის რუსეთმა სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ხელი მოაწერა 12 სახელმწიფოთა შორის, სამთავრობო და საუწყებათაშორის შეთანხმებას სხვადასხვა დარგში. სამხრეთ ოსეთთან 36 შეთანხმება და აფხაზეთთან 43 ორმხრივი დოკუმენტი შეთანხმების სტადიაშია.

როგორც გვაცნობეს, დამოუკიდებლობის აღიარების დღეს სამხრეთ ოსეთში გაიხსნება ახალი გაზსადენი ძაუჯიყაო-ცხინვალი. იგი რესპუბლიკას საშუალებას მისცემს, მიიღოს საწვავი ჩრდილოეთ ოსეთიდან პირდაპირ, საქართველოს ტერიტორიის გვერდის ავლით.

მოსკოვში კი რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე ვლადიმერ პუტინი 26 აგვისტოს, რუსეთის ფედერაციის მიერ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღიარების პირველი წლისთავზე, გამართავს მოლაპარაკებას სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტთან ედუარდ კოკოითთან, რომელიც იქნება რუსეთის დედაქალაქში სამუშაო ვიზიტით. ელოდებიან სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერას სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისთვის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში დახმარების გაწევის შესახებ.

РОСБАЛТ

# აფხაზური ნავთობის გოვზა საქართველოს თავზე

**„როსნეფტი" დაამუშავებს აფხაზეთის შელფს. ეს „პოლიტიკური პროექტი", როგორც მას ზოგიერთი ექსპერტი უწოდებს, ხელსაყრელია აფხაზეთისთვისაც და რუსი მენავთობეებისთვისაც. საქართველო კი მესამე ზედმეტი ხდება.**

რუსეთის უდიდესმა სანავთობო კომპანიამ გამოაცხადა იმის შესახებ, რომ რესპუბლიკაში ქმნის შვილეულ კომპანიას „რუსნავთობი — აფხაზეთის შელფი". როგორც „როსნეფტის" პრეზიდენტმა სერგეი ბოგდანჩიკოვმა განაცხადა, კომპანია შეისწავლის აფხაზეთის შელფს 2,5 ათასი კვადრატულ მეტრში.

„შავი ოქრო" აფხაზეთის შავი ზღვის აკვატორიაში აღმოაჩინეს ჯერ კიდევ სსრ კავშირის დროს. წინასწარი მონაცემებით, ნავთობის მარაგი აფხაზეთის შავი ზღვის შელფში შეადგენს 300-500 მილიონ ტონას. 2009 წლის მაისში დაიდო ხუთწლიანი შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ კომპანია „როსნეფტსა" და აფხაზეთის რესპუბლიკის მიკროეკონომიკას შორის. სეისმოდაზვერვის პირველი ეტაპი დაგეგმილია 2011 წლის ბოლოსთვის. „როსნეფტი" ასევე გეგმავს ააგოს რესპუბლიკაში ათობით გასამართი სადგური. როგორც



კომპანიაში აღნიშნავენ, მუშაობა აფხაზეთში იწარმოებს საერთაშორისო სტანდარტებით.

ეკოლოგები აცხადებენ, რომ საკურორტო აფხაზეთმა არ უნდა მისცეს თავს ნება მოიპოვონ შავი ოქრო შელფში. მაგრამ ამ მომენტისთვის საქართველოში შელფზე მუშაობს 5 ამერიკული კომპანია, ნავთობის მოპოვება წარმოებს თურქეთში, ბულგარეთში და რუმინეთში, რუსეთი მუშაობს ტუაფსეს მახლობლად. „თუ იქ რაიმე მოხდა, ეს ხელს არ შეუშლის ჩვენს კურორტებს, თუ იგი ჩვენგან 80 კილომეტრით იქნება დაშორებული?", სვამს რიტორიკულ კითხვას ბაღაფში. „რასაკვირველია, ჩვენც ვიმუშავებთ, ვინაიდან ჩვენც გვინდა სიცოცხლე, გვინდა, რომ გამოვიმუშაოთ და გავმდიდრდეთ. თუ ყველა დანარჩენი უარს იტყვის მუშაობაზე შელფში, მაშინ ჩვენც უარს ვიტყვით", — აცხადებს აფხაზეთის პრეზიდენტი.

**სვეტლანა კორობეინიკოვა**

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკელმა პენსიონერმა ლატარიაში 260 მილიონი დოლარი მოიგო**

საგადასახადო სამმართველოს ყოფილმა ჩინოვნიკმა სოლომონ ჯეკსონმა იყიდა ერთი დოლარის ღირებულების ორი ბილეთი ავტოსადგომზე, როდესაც სუპერმარკეტიდან ბრუნდებოდა შინ. მოგების შანსი შეადგენდა ერთი — 195 მილიონთან.

**კანადა არ დაეთანხმება ავღანეთში თავისი კონტინგენტის ყოფნას 2011 წლის შემდეგ**

თავდაცვის მინისტრის სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას არ მიუმართავს პირდაპირ კანადის მთავრობისთვის ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ თუ ასეთი მოთხოვნა შემოვა, პასუხი უარყოფითი იქნება.

* * *

**გარდაიცვალა სენატორი ედვარდ კენედი — აშშ-ს მოკლული პრეზიდენტის უმცროსი ძმა**



77 წლის პოლიტიკოსი, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების სენატში იმუშავა 40 წელზე მეტი, გარდაიცვალა ტვინის კიბოთი. დემოკრატიული პარტიის ლიბერალური ფრთის ხელმძღვანელი ედვარდ კენედი აქტიურად გამოდიოდა თანასწორობისთვის და ითვლებოდა აღიარებულ სპეციალისტად ჯანმრთელობის დარგში.

* * *

**სამხრეთ კორეამ და კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაიწყეს მოლაპარაკება კორეის ომის დროს გათიშული ოჯახების შეხვედრების განახლების შესახებ**



სამხრეთ კორეული მონაცემებით, სამხრეთ კორეის დაახლოებით 600 ათას მოქალაქეს ჰყავს ნათესავები ჩრდილოეთში. ხანდაზმულობის გამო ორივე მხარეს ნათესავებისა და მახლობლების რაოდენობა ძალიან შემცირდა.

* * *

**კოლუმბიაში ბაზარზე აფეთქდა ყუმბარა, 2 დაიღუპა, 19 დაიჭრა**

ინციდენტი მოხდა ქალაქ სან-ვისენტე-დელ-კაგუანში დედაქალაქიდან 290 კილომეტრზე სამხრეთით, სადაც 1998-დან 2002 წლამდე მიმდინარეობდა ხელისუფლების მოლაპარაკება ფარსის წარმომადგენელთან, რაც კრახით დამთავრდა. ტერორისტმა ყუმბარა ესროლა პოლიციის პატრულს, მაგრამ იგი მოხვდა ბაზრის ხალხს. დაიღუპა 35 წლის ქალი და მოზარდი გოგონა.



პიარ-აქცია

# ესაა ხალხში გასვლა?!



ამ გრილი ზაფხულის მიწურულს რომ თბილისში საკალათბურთო ბუმია, შეუძლებელია კაცს არ ახარებდეს, მაგრამ არის ერთი ფაქტორი, რომელმაც აღნიშნული სტატიის დაწერა გვიკარნახა.

ეს გახლავთ სპორტის სასახლის სამთავრობო ლოჟაში შექმნილი ვითარება. კერძოდ, ვის არ ნახავთ იქ – ზოგი ოჯახის წევრების თანხლებით გულშემატკივრობს თანამემამულეებს, ზოგიც – დაცვის წევრებით ზურგგამაგრებული.

ცალკე სასაუბრო თემაა იმ კონტინგენტის შემადგენლობა, რომელიც VIP-პოზიციების დაკავებით „მარიაჟობს“. თუ შესაბამისი სამინისტროს, დეპარტამენტისა და საპარლამენტო კომიტეტის წარმომადგენლები თანამდებობრივი შკალის შესაბამისად იკავებენ კუთვნილ ადგილს, რიგით დეპუტატებსა თუ გუბერნატორებს, მათ მეგობარ ქალბატონებს, ცოლებსა და ბავშვებს რა უნდათ იქ?

ესაა პრეზიდენტის ამასწინანდელ მოწოდებაზე პასუხი – მასებში გადითო? მისი უდიდებულესობა ხალხი ხომ ტრიბუნებიდან „ბალელშჩიკობს“ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს.

გია პლატონიშვილი

ფეხბურთი

# ქართული კვალი



**2002 წელს ჰაიფას „მაკაბიმ“ უკვე დააჭაშნიკა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი, მაგრამ რეგიონში შექმნილი მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო ებრაული კლუბის ქომაგებს საკუთარ რჩეულთა გულშემატკივრობის საშუალება მაშინ არ მიეცათ – ისრაელის საუკეთესო გუნდმა უეფას განაჩენით საშინაო მატჩები კვიპროსის სტადიონებზე გამართა.**

სხვათა შორის, სწორედ მაშინ მოიპოვეს აღთქმული მიწის შვილებმა ისტორიული გამარჯვება – პირველ წრეში „ოლდ ტრაფორდზე“ განცდილი მარცხის შემდეგ – 2:5 ჰაიფელებმა საპასუხო შეხვედრაში მრისხანე „მანჩესტერთან“ სრულფასოვანი რევანში აიღეს – 3:0. და აი, შვიდი წლის შემდეგ „მაკაბი“ ისევ ელიტაშია.



განსხვავება და ჩვენთვის საამაყო ამ მიღწევაში ისაა, რომ ებრაელთა აღნიშნულ მიღწევაში ღირსეული წვლილი ქართველებმა შეიტანეს. შეგახსენებთ, რომ მთავარი მწვრთნელის ასისტენტია გიორგი დარასელია, ხოლო დამრტყმელი ფორვარდი – ლადო დვალიშვილი, რომელიც იქ რიგის „სკონტოდან“ გადავიდა.

უკვე გაუწყეთ, რომ განვლილ ეტაპზე ჩვენებურმა ლეგიონერმა უიმედო სიტუაციაში იხსნა პარტნიორები და ყაზახურ „აქტობესთან“ 0:3-ის შემდეგ შესრულებული „დუბლითა“ და ორი საგოლე გადაცემით მოაგებინა კიდეც – 4:3 (პირველი მატჩი – 0:0ძ.

მან ავსტრიის „ზალცბურგთანაც“ ისახელა თავი, როცა საპასუხო შეხვედრის 31-ე წუთზე გახსნა ანგარიში და საფუძველი ჩაუყარა ისრაელის ჩემპიონის მორიგ წარმატებას – 3:0 (პირველი ბრძოლა – 2:1ძ.

**სამშაბათს გამართული IV საკვალიფიკაციო ეტაპის დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:** „ანდერლეხტი“ – „ლიონი“ 0:3 (1:5ძ, „ატლეტიკო“ – „პანათინაიკოსი“ 2:0 (3:2ძ, „ციურიხი“ – „ვენტსპილსი“ 2:1 (3:0ძ, „დებრეცენი“ – „ლევსკი“ 2:0 (2:1ძ.

ოლიმპიზმი

# ნოზაძის ახალი ამპლუა



**ამას წინათ საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონის ლუკა კურტანიძის ნაცვლად მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებული რამაზ ნოზაძე სპორტსმენთა კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია.** გუშინწინ კი სეოკმა იგი ევროპის სპორტსმენთა კომისიის წევრობის კანდიდატად წარადგინა. ოღონდ ეს არის, რომ ნოზაძე გენერალურ ასამბლეას ვერ დაესწრება, რადგან ამ დროს დანიაში მსოფლიოს ჩემპიონატზე იქნება. ამჟამად ჩვენი სახელოვანი ფალავანი საქართველოს ნაკრების წევრებთან ერთად ბელარუსში იმყოფება და სტაიკებში საწვრთნელ შეკრებას გადის. შარშან ნოემბერ-დეკემბერში რამაზმა მკერდის კუნთებზე ორი ოპერაცია გაიკეთა, შემდეგ წარმატებით გაიარა სარეაბილიტაციო პერიოდი და ახლა მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. ვიმედოვნებთ, რომ იგი მსოფლიო ჩემპიონატიდან ხელდამშვენებული დაგვიბრუნდება.

მხატვრული ტანვარჯიში

# უკეთეს დებიუტს ველოდით



**მინსკში მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიოს თასის გათამაშებაზე პირველად იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა (ელენე გავარდაშვილი, თეონა ხელაია, მარიამ ჯანტეზი, მარტინა გროზევა, რომინა ბოჟილოვაძ, რომელსაც გუნდურ შეჯიბრებაში 19 მონაწილეს შორის მე-17 ადგილი ხვდა.**

ინდივიდუალურ პირველობაში მზევინარ სამუკაშვილმა მე-15 ადგილი დაიკავა.

სანთელი

# აკა ტონია

**31 წლის ასაკში გარდაიცვალა ჩვენი ძვირფასი კოლეგა, გაზეთ „24 საათის“ ყოფილი თანამშრომელი აკა ტონია.**



**მართლაც, რა ულმობელი ყოფილა წუთისოფელი. რას წარმოვიდგენდით, რომ ამ უმწიკვლო რეპუტაციის მქონე ახალგაზრდის შესახებ წარსულ დროში მოგვიწევდა საუბარი.**

**ამ ბოლო დროს საფეხბურთო მენეჯერობა დაიწყო და ფიფას ლიცენზირებული აგენტი გახდა. მის სახელს უკავშირდება საქართველოში ექტორ რაულ კუპერის, დუშან უჰრინის, რაინერ ცობელისა და მთელ რიგ უცხოელ ლეგიონერთა ჩამოყვანა.**

**მეგობრებზე გადაყოლილმა ვაჟკაცმა ქალიშვილისა და უამრავი კეთილი საქმის დატოვება მოასწრო.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს!**

„სრ“ სპორტის რედაქცია

ინტერნეტიდან

## კანაევა რუსეთს ამარჯვებინებს



**დიახ, რუსული მხატვრული ტანმოვარჯიშეების გამარჯვებით დასრულდა მინსკში მსოფლიო თასის მორიგი ეტაპი და ამაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ტანმოვარჯიშეთა ახლანდელ ლიდერს ევგენია კანაევას.** მან ჯერ მრავალჭიდში გაიმარჯვა – 114,650 ქულა. შემდეგ კი სახტუნავოთი, რგოლით, ბურთით და ლენტით ვარჯიშებშიც. თანაც დიდი უპირატესობით უსწრებდა მეტოქეებს – თანაგუნდელ, აგრეთვე იტალიელ და ბელორუს ტანმოვარჯიშეებს.

## დილის გამამხნევებელი ვარჯიში ბრუნდება

**არა, ჩვენთან კი არა, მოსკოვის სკოლებში – იქ 1 სექტემბრიდან ყველა სკოლაში შემოღებული იქნება დილის გამამხნევებელი ვარჯიში, ასევე შემოღებული იქნება „სამხედრო სამსახურის სავალდებულო კურსი“ მე-10, მე-11 კლასებისთვის, – ეს აცნობა ჟურნალისტებს რუსეთის დედაქალაქის განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ოლღა ლარიონოვამ.**

როგორც მან აღნიშნა, სამხედრო სამსახურის საფუძვლების კურსის შემოღება არ ნიშნავს დაწყებითი სამხედრო მომზადებალესთან დაბრუნებას, ჩვენ ამისთვის კადრები არ გვყავსო. დილის გამამხნევებელი ვარჯიში კი ჩატარდება მეცადინეობების დაწყებამდე 10 წუთით ადრეო.



ქალბატონმა ლარიონოვამ ისიც თქვა, რომ სკოლებში თანდათან დაბრუნდება 1990 წლიდან „დაკარგული“ შრომის გაკვეთილები. გოგონებს ასწავლიან საჭმლის მომზადებას, ბიჭებს კი – ჩაქუჩისა და ლურსმნების დაჭერას. თუმცა როგორც მოსკოვური განათლების მეთაურმა აღნიშნა, შრომის სრულყოფილი სწავლებისთვის მოწყობილობაც აკლიათ და კადრებიც.

იქნებ „მტრის“ მაგალითი“ ჩვენს სკოლებშიც გამოგვადგეს?

## პილოტს ლამაზმანი გაამხნევებს

**„ფორმულა-1“-ის ცნობილი ბრიტანელი პილოტი ჯონი ჰერბერტი, 2000 წელს „მალაიზიის გრან-პრის“ შემდეგ რომ წავიდა დიდი სპორტიდან, მალე ისევ მიუჯდება ბოლიდის საჭეს, მაგრამ „ფორმულისას“ კი არა, თავად ბრიტანული შინაური ავტორბოლებისას.**



თუმცა ჰერბერტი ახლა 45 წლისაა და ეს ასაკი ძალზესახიფათოა არა მხოლოდ ჯანმრთელობისთვის, არამედ სიცოცხლისთვისაც.

თუმცა საკუთარი უსაფრთხოებისთვის ჯონის დაეხმარება მისი გუნდის გრიდ-გერლი პეიჯ რობინსი – ყოველ შემთხვევაში ლამაზმანი უკვე ხაროზს სახელგანთქმულ მრბოლთან ნაცნობობით.

„მეთვალს მივადევნებ, რათა ჯონი სრულ წესრიგში მივიდეს სტარტთან, – განუცხადა პეიჯმა ჟურნალისტებს.

მაშ ასე, ერთ დროს „დიდი ბრიტანეთის გრან-პრის“ მფლობელ ჰერბერტს საშუალება ექნება, ისევე დეტალურად შეისწავლოს ლამაზმან რობინსის მშვენებანი, როგორც ის ტრასა, სადაც დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატი გაიმართება.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებზე 42 ლოტად.**

**I. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.858).

**II. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.859).

**III. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 250 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.860).

**IV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.861).

**V. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 250 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.862).

**VI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 250 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.863).

**VII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.864).

**VIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 74987 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.865).

**IX. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 150 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.866).

**X. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 200 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.867).

**XI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 311 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.824).

**XII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 350 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.825).

**XIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 155 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.826).

**XIV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 246 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.827).

**XV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 111 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.828).

**XVI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 111 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.829).

**XVII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 105 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.830).

**XVIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 105 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.831).

**XIX. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 102 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.832).

**XX. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 102 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.833).

**XXI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 108 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.834).

**XXII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 303 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.835).

**XXIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 305 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.836).

**XXIV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 178 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.837).

**XXV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 155 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.838).

**XXVI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 350 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.839).

**XXVII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 108 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.840).

**XXVIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 259 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.841).

**XXIX. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 347 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.842).

**XXX. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 443 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.843).

**XXXI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 366 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.844).

**XXXII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 366 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.845).

**XXXIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 351 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.847).

**XXXIV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 305 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.848).

**XXXV. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 320 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.849).

**XXXVI. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 178 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.850).

**XXXVII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 259 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.851).

**XXXVIII. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 246 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.852).

**XXXIX. ლოტი.** მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 347 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.853).

XL. ლოტი. მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 365 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.854).

XLI. ლოტი. მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 444 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.855).

XLII. ლოტი. მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული, სოფელ წეროვნის ტერიტორიაზე მდებარე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 320 კვ.მ. მიწის ფართი (მიწის საკადასტრო კოდი №72.08.21.856).

**საწყისი გასაყიდი ფასია: 1 მ² – 5 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში**

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 5%-ს**

**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს – 50 ლარს**

**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 5 %-ს.**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. №73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 12 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი..

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. №33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.№73. ტელ: 8(27-32) 51-27-27: 899 22-65-33, 899 34-50-85**

***მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.***

## დღის კალენდარი

## 27 აგვისტო







### წლის 239-ე დღე – ახალ წლამდე დარჩა 126 დღე

### მე-12 შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.

**წინადღესასწაული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინებისა. ხსენება მღვდელმოწამეთა:** ნაზარისა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტისა; გერმანე იეროთეოს და სვიმონ ხუცესთა; ბესარიონ მთავარდიაკონისა (1924წ და ყოველთა ახალმოწამეთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს ურწმუნოთაგან წამებულთა. წინასწარმეტყველ მიქიასი (VIII ს. ქრ. შობამდე); მღვდელმოწამე მარკელისა – აპამიელ ეპისკოპოსისა (დაახლ. 389წ.

**ხსენება წმიდა წინასწარმეტყველი მიქიასი** – მცირე წინასწარმეტყველთაგანისა. წმიდანი მეექვსეა 12 მცირე წინასწარმეტყველთა შორის. იგი იუდას ტომის შვილი იყო. მიქეა იერუსალიმის სამხრეთით მდებარე ქალაქ მორასფიში დაიბადა, რის გამოც მორასფელს უწოდებდნენ. წმინდანი წინასწარმეტყველურ მოღვაწეობას ქრისტეს შობამდე, 778 წელს შეუდგა. მან იწინასწარმეტყველა ისრაელის სამეფოს ნგრევა და ის ავბედობანი, რაც იუდეაზე ასურეთის მეფის სინაქერიმის შემოსევას მოჰყვებოდა. მასვე ეკუთვნის მსოფლიოს გადამრჩენის – მაცხოვრის დაბადების წინასწარმეტყველებაც. მისი წმინდა ნაწილები ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ელეფთეროპოლის ეპისკოპოსის ზებინის გამოცხადების შედეგად აღმოაჩინეს ბარათსატიაში.

**ხსენება მღვდელმოწამე მარკელისა, აპამიელი ეპისკოპოსისა.** დაიბადა კუნძულ კვიპროსზე. მან კარგი განათლება მიიღო. ყველას აღაფრთოვანებდა მისი სისპეტაკე, მოკრძალება, თავმდაბლობა, გულკეთილობა და ოქროპირობა. 375 წელს მან დატოვა ცოლ-შვილი და სირიაში მეუდაბნოე ბერის ცხოვრება იწყო. მღვდელმთავარი წარმართობის წინააღმდეგ დაუცხრომლად იბრძოდა. წარმართებმა 389 წელს წმიდანი შეიპყრეს და ცეცხლში ჩააგდეს.

## დაიბადნენ:

**ძვ. წ. 551 – კონფუცი (ჯუნ ფუ-ძიძ,** ჩინელი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, პედაგოგი, კონფუციანელობის ფუძემდებელი.

**1770 – გეორგ ჰეგელი,** გერმანელი ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1831 წელს.

**1809 – ჰანიბალ ჰამლინი,** აშშ-ს მე-15 პრეზიდენტი.

**1856 – ივანე ფრანკო,** უკრაინელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

**1865 – ჩარლზ დეიზსი,** აშშ-ს 30-ე პრეზიდენტი.

**1871 – თეოდორ დრაიზერი,** ამერიკელი მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე.

**1884 – ვინსენტ ორიოლი,** საფრანგეთის პრეზიდენტი.

**1897 – მოსე გოგიბერიძე,** ფილოსოფოსი, პედაგოგი, მთარგმნელი. გარდაიცვალა 1949 წელს.

**1900 – შალვა თაქთაქიშვილი,** კომპოზიტორი.

**1908 – ლინდონ ჯონსონი,** აშშ-ს 36-ე პრეზიდენტი.

**1910 – დედა ტერეზა,** რომის კათოლიკური ეკლესიის წმინდანი.

**1941 – ჯარჯი ბალანჩივაძე,** პიანისტი, საქართველოს კამერული ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორი.

## გარდაიცვალნენ:

**1522 – ჯოვანი ამადეო,** იტალიელი მოქანდაკე, არქიტექტორი.

**1576 – ტიციან ვეჩელიო,** იტალიელი მხატვარი.

**1635 – ლოპე დე ვეგა,** ესპანელი დრამატურგი.

**1950 – ჩეზარე პავეზე,** იტალიელი მწერალი.

**1964 – ვიქტორ გაბესკირია,** პოეტი და დრამატურგი.

## მოვლენები:

**1666 წელი** – დაამტკიცეს წმინდა პავლეს საკათედრო ტაძრის რეკონსტრუქციის გეგმა.

**1789 წელი** – საფრანგეთის ნაციონალურმა ასამბლეამ გამოაქვეყნა „ადამიანის უფლებების დეკლარაცია".

**1813 წელი** – დრეზდენის ბრძოლაში ნაპოლეონმა დაამარცხა ავსტრიელები.

**1828 წელი** – ურუგვაიმ დამოუკიდებლობა მიიღო.

**1859 წელი** – ედვინ დრეიკმა გაბურღა პირველი ნავთობის ჭაბურღილი ამერიკაში (პენსილვანიაძ.

**1915 წელი** – გერმანია-ავსტრიის ჯარებმა დაიკავეს პოლონეთის სამეფოს ტერიტორია.

**1916 წელი** – რუმინეთი შეუერთდა მოკავშირე სახელმწიფოებს და ავსტრია-უნგრეთს ომი გამოუცხადა.

**1945 წელი** – ამერიკის ჯარები გადასხდნენ იაპონიაში მისი კაპიტულაციის შემდეგ.

**1955 წელი** – გამოვიდა პირველი 198-გვერდიანი გინესის რეკორდების წიგნი.

**1962 წელი** – ამერიკელებმა პლანეტა ვენერაზე გაუშვეს „არინერ-2".

**1991 წელი** – მოლდოვის რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

**1992 წელი** – აშშ-მ, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა სამხრეთ ერაყის ტერიტორიის ნაწილი ერაყის თვითმფრინავებისათვის აკრძალულ ზონად გამოაცხადეს.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**მოლდოვა** – დამოუკიდებლობის დღე.

**ჰონკონგი** – გათავისუფლების დღე.

## ჯანმრთელობა



### თევზეული სიხალისეს მატებს

ზღვის პროდუქტები ხასიათს უუმჯობესებენ ფეხმძიმე ქალებს – გამოარკვიეს ბრისტოლის უნივერსიტეტის მკვლევარებმა.

მათ შეისწავლეს თითქმის 10 ათასი ორსული ქალის რაციონი, გამოკითხულთ უნდა ეპასუხათ, თუ ზღვის პროდუქტების რა რაოდენობას იყენებდნენ ფეხმძიმეობის დროს და როგორ განწყობაზე იყვნენ.

აღმოჩნდა, რომ არსებობს ნამდვილი კავშირი შეჭმული ზღვის პროდუქტების რაოდენობასა და კარგ განწყობილებას შორის.

სწავლულების აზრით, ზღვის პროდუქტები შეიცავენ ომეგა-3, მსუქან მჟავებს, რომლებიც გავლენას ახდენენ თავის ტვინის იმ ცენტრებზე, კარგ განწყობილებას რომ ქმნიან.



### კურნავს დაფნა

დაფნის ნახარში აწესრიგებს შაქარს სისხლში, აქვეითებს წნევას, ორგანიზმიდან გამოაქვს მარილი და წიდები.

■ დაფნის ორი დიდი ფოთოლი წამოადუღეთ ორ ჭიქა წყალში. გააჩერეთ, სანამ წყალი არ გავარდისფერდება. მიიღეთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა დღეში 4-ჯერ.

■ დაფნის ფოთლებიდან შეიძლება სამკურნალო ზეთის მიღება. ის დაგვეხმარება მენჯ-ბარძაყის სახსრების მკურნალობაში. დაფნის ორი დიდი ფოთოლი დაფქვით ყავის საფქვავში, დაამატეთ 100 გრამი მცენარეული ზეთი. ნარევი ჩადგით წყლის ავზში და გაათბეთ ნახევარი საათით. ზეთს იზელავენ ოსტეოქონდროზის მტკივნეულ ადგილზე, რადიკულიტის და სახსრების ანთების დროს.

## ანეკდოტები



– რად აჩუქე შენს ცოლს ასეთი ძვირფასი სერვიზი?

– როგორ თუ რატომ? ახლა იგი ახლოსაც არ მიშვებს წყალთან ჭურჭლის გასარეცხად.

* * *

– ალო! ეს ფსიქიატრიულია? აქ კაცი უცებ რატომღაც ძალიან კარგ ხასიათზე დადგა!

* * *

– რატომ ჰყავს ჩვენს პრეზიდენტს ამდენი პირადი მცველი?

– იმიტომ, რომ მარტო დარჩენილებს მისი ეშინიათ...

* * *

ზურგზე ძილი ფილტვებისათვისაა ცუდი, მუცელზე წოლა – ნაწლავებისთვის, მარცხენა გვერდზე ძილი – გულისთვის, მარჯვენაზე – ღვიძლისთვის. ჟურნალი „ჯანმრთელობა" გისურვებთ ტკბილ ძილს.

* * *

– ალო, გიორგი, შენა ხარ? გამარჯობა, რას აკეთებ!

– არაფერს.

– სადა ხარ?

– პარლამენტში, პლენარულ სხდომაზე...

* * *

ჩვენი შინაგან საქმეთა მინისტრი საზღვაო კრუიზში გამგზავრებულა თბომავალ „ივან ფრანკოთი". რა თქმა უნდა, „ივან ფრანკო" არ არის „ტიტანიკი", მაგრამ რაღაც იმედი მაინც ჩნდება...

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



ომარ, ბერტა, თეიმურაზ, გიორგი, დავით, ელისაბედ ლეკვეიშვილები, ნანა შიუკაშვილი, ლოლა მთვარაძე იუწყებიან **გურამ მიხეილის ძე ლეკვეიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 27, 28 VIII, გამოსვენება 29 VIII, 15 სთ. მისამართი: ჭონქაძის ქ. №14 ა.

საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პროფესორ-აკადემიკოსები ალექსანდრე კუჭუხიძე, თეიმურაზ ბაბუნაშვილი, რომან კუჭუხიძე, თამაზ იმედაძე, თამაზ დანელია, დემურ ღლონტი, ევგენი ბარათაშვილი, მერაბ ზედგენიძე, თამაზ კუნჭულია, ავთანდილ ზედგენიძე, ვლადიმერ გვარჯალაძე, ვაჟა კვალიაშვილი, ირინე ცომაია, პარმენ ლემონჯავა, რეზო ასათიანი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ აკადემიკოს ლევან გვაზავას შვილის **ირაკლი გვაზავას** ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
99-62-77; 899 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.